# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო • LITERATURULI SAQARTVELO • ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

8 ოქტომბერი 2021წ. №24 (4023) გამოცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი




## შეხვედრა ვატიკანში

**29 სექტემბერს** ვატიკანში რომის პაპს ფრანცისკეს შეხვდა პოეტი დათო მაღრაძე. აუდიენციის მთავარი გზავნილი იყო ფრაზა დათო მაღრაძის პოემიდან „ბარაქიანი მინა" – მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად.

დათო მაღრაძემ მის უწმინდესობა ფრანცისკეს საკუთარი ხელმონერილი წიგნი და დეკანოზ ალექსანდრე გალდავას მიერ შესრულებული ხატი გადასცა; პაპმა პოეტს ჯვარი უსახსოვრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ელჩი ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონი და პოეტის მეუღლე ლალი ანდრონიკაშვილი.

## გაიცანით: ახალი ნობელიატი!



გუშინ სტოკჰოლმში ნობელის კომიტეტმა გამოაცხადა ლიტერატურის დარგში 2021 წლის ლაურეატის ვინაობა. ეს გახლავთ

**აბდულრაზაკ გურნა (ტანზანია)**

## კარგი იქნებოდა, რომ...

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

**2 ოქტომბრის** მთავარი შედეგი ისაა რომ არჩევნები შედგა, მაგრამ არ დამთავრებულა. ამ თვის ბოლოს კიდევ უნდა შევიკრიბოთ და ავირჩიოთ.

ე. ი. კვლავ ერთმანეთის პირისპირ უნდა დავდგეთ, ვლანძღოთ, ვურტყათ, შეურაცხვყოთ, თავგანწირვით დავიცვათ ან მოვიპოვოთ ხმები.

უფრო უკეთესის სურვილი არ გიჩნდებათ? კი, რა თქმა უნდა.

კარგი იქნებოდა, რომ – ჩვენი საზოგადოება, უკანასკნელი 30 წელია, ორ მტრულ ბანაკად არ იყოს გაყოფილი; რომ ჩვენი სახალხო პარლამენტი – ფეისბუქი, გადავსებული არ იყოს ლანძღვა-გინებით, დედისა და კეთილების ხსენებით, ცილისწამებით, ათასი მსგავსი „სიკეთეებით", რომ ე. წ. რბილი სამოქალაქო ომის რეჟიმში არ ვიყოთ და მტრები არ ვაცინოთ, რომლებიც, ჩვენივე აღიარებით, ბლომადა გვყავს.

კარგი იქნებოდა, რომ – ვინმე გამოგვიჩნდებოდეს, მთლად ილია ჭავჭავაძის დარი თუ არა, მისი ოდნავ მსგავსი მაინც, რომელიც ერთ-ერთი ხსენებული ბანაკის მხარეს კი არ იქნებოდა, არამედ ორივე მხარის ურთიერთდაპირისპირებაზე მაღლა მდგომი, გამშველებელ-მომრიგებელი და არა მაგინებელი.

კარგი იქნებოდა, რომ – საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის 2 ოქტომბერს თქმული ფრაზა – „დღეს დავასრულეთ პოლარიზაცია ქვეყანაში" – სიმართლე გამოდგეს; მას და მის გუნდს, ყველაფერი გაეკეთებინოს ამისათვის. მაგრამ თუ მისივე გუნდის სხვა ლიდერები ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალას კრიმინალებად მიიჩნევენ, მაშინ კრიმინალებთან პოლარიზაცია როგორ უნდა დასრულდეს; ან კრიმინალურად როგორ უნდა იქნეს მიჩნეული მთავარი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის სულ ცოტა 30 პროცენტი უჭერს მხარს. ასე და ამ გზით პოლარიზაცია არ დამთავრდება და მომავალი 10 წელიც გუშინდელივით გაგრძელდება, ხოლო ასე თუ გაგრძელდა, არავითარი ათწლიანი გეგმები, რომლებიც ყველა სამინისტრომ შეადგინა, არ შესრულდება.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს მთავარ ოპოზიციას ცოტა თვითკრიტიკულად შე-

▶▶ დასასრული მე-2 გვ.





დროთა მაკავშირებელი ძაფი



დალი ქახიანი

გვ. 3

ენობრივი პოლიტიკა



ავთანდილ არაბული

გვ. 4

მინებაბა



მუშნი ლასურია

გვ. 6

წიგნებზე მოყოლილები



მიხო მოსულიშვილი

გვ.10

ახალი თარგმანები



მარინა ცვეტაევა

გვ. 12

▶▶ პირველი გვერდიდან

ეხედა საკუთარი პოზიციისა და მიზნებისათვის; რომ კარგად დაფიქრებულიყო, თუ ასეთი მართლები და უნაკლოები არიან, რატომ უთხრა უარი 2012 წელს ქართველმა საზოგადოებამ ნაციონალურ მოძრაობას; რომ – გაეცნობიერებინა: დასავლური არჩევანი არ ნიშნავს, დასავლური ცხოვრების წესის და თავისუფლებების 100%-იან გადმოკოპირებას ქართულ საზოგადოებაში, რომ არის ბევრი ისეთი რამ, რასაც არ მიიღებს და არც უნდა მიიღოს ჩვენმა ხალხმა. რომ თუ ამ რეალობას არ აღიარებენ ნებისმიერი სახის ოპოზიციონერები, მარადიულ ოპოზიციონერებად დარჩებიან ქართულ რეალობაში.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს დიდად პატივცემულ საერთაშორისო დამკვირვებლებს, ისეთი დასკვნები გაეკეთებინათ, რომელიც რა თქმა უნდა, მთლად ოპოზიციურ ნარატივს არ უნდა იმეორებდეს, მაგრამ ცოტათი მაინც უნდა განსხვავდებოდეს რეალური ხელისუფლების შეფასებებისაგან. თუ არა და, რაზე ვაწუხებთ ამ ხალხს, იყვნენ თავიანთ ქვეყნებში და იქიდან გამოგვიგზავნონ შეკონინებული, დაწმენდილ-დავარცხნილი დიპლომატიური ტექსტები, რომელნიც არც მოწონებაა და არც დაწუნება. ჩვენ ამისი მადლობელიც დავრჩებით.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორ-მოკავშირე სახელმწიფოებს მანამდე გაეწიათ ნამდვილი, საქმიანი და რეალური მოკავშირეობა-პარტნიორობა, სანამ გაეროს ცნობილი სტატისტიკური პროგნოზი არ შესრულდება; სანამ სულ არ აგვყრებით ამ ღვთისნაჩუქარი მიწიდან; სანამ ეთნოგრაფიულ უმცირესობად არ ვიქცევით, რაც უკვე პროგნოზი კი არ არა, არამედ რეალური მომავალია. თუ არადა, მაშინ გვითხრან, რომ ჩვენი რეალური მოკავშირეობა არ შეუძლიათ; არ შეუძლიათ, რომ ჩვენს ყოფილ დიდ მეტროპოლიას დაუპირისპირდნენ და ეს რომ გვეცოდინება, დავფიქრდებით, იქნებ სხვა რაიმე გამოსავალი არსებობდეს.

სხვაც არაერთი „კარგი იქნებოდა, რომ" – არსებობს.

მაგრამ დღეს არჩევნებით დავიწყეთ და ამითვე დავასრულოთ, ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ მეორე ტურში, ჩვენს დიდ ქალაქებში არ გვეხილა ჩვეული საარჩევნო-საუბნო სცენები, განევ-გამონევა, შეშლილ-გაავეთრებული, როგორც ერთი ჩვენი ახალგაზრდა ლიდერი იტყოდა: „ნაშლილი სახეები"; რომ ერთი დღით მაინც აღარ ეიყოთ ბანანის რესპუბლიკა და ყველამ თავისი ალალი ხმები მიიღოს და შეირგოს.

დაბოლოს, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ მაინც ვერ მოვერიგდებით ერთმანეთში და სტუმარ-დამკვირვებლებს დავეუფლოთ, მათ დასკვნებს დაველოდებოდეთ და ვეღიაროთ. თანაც იმიტომ კი არა, რომ ის მისაღები იქნება ჩვენთვის, არამედ ეს იქნება მაინც ნეიტრალური და თუნდაც პოლიტიკური მოსაზრებით გამოტანილი განაჩენი, ე. ი. ასე ყოფილა საჭირო.

კარგი იქნებოდა.




# ისტორია და ლექსი

## კონკურსი „ძლევაი საკვირველი" დამთავრდა



„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატრონნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით".

ამ ჟრუანტელის მომგვრელმა შეძახილმა ერთ მუშტად, ერთსულ და ერთხორც შეკრა სრულიად საქართველო და მოაპოვებინა „ძლევაი საკვირველი".

ამ შეძახილმა ფეერიული მისტერია დაატრიალა ზუსტად 900 წლის წინ დიდგორის ინროებში და მისმა ექომ დღემდე მოაღწია ისე, თითქოს ეს სასწაული გუშინ ან გუშინწინ დატრიალებულიყოს, მოაღწია როგორც გაფრთხილებამ, როგორც ქართული სულის, ქართული გენის გამობრწყინებამ...

ქართული მწერლობა რაც უნდა შეჭირვებული იყოს, გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა ამ საკრალურ თარიღს. ამიტომაც საქართველოს მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა პატრიოტული ლექსების კონკურსი „ძლევაი საკვირველი" და გამოეცა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი პოეტური კრებული.

ჟიურიმ 12 აგვისტოს გამოაცხადა კონკურსის შედეგები და კრებულის გამოცემაც მოასწრო (კრებულს ეწოდა „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს", გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის სათაური). თუმცა კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. საქართველოში მომძლავრებული კორონა-ვირუსის გამო კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და პოეტური კრებულის წარდგინება გადაიდო და მხოლოდ 4 ოქტომბერს მოხერხდა მისი ჩატარება. ოღონდ ამ შემთხვევაშიც კოვიდრეგულაციების გამო ეს ღონისძიებაც ორ ნაწილად დაიყო. ჯერ პოეტური კრებულის წარდგინება ჩატარდა, ოდნავ მოგვიანებით კი კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

პოეტური კრებულის წარდგინებას უძღვებოდნენ თემურ ჩალაბაშვილი და ზაალ ბოტკოველი, რომლებმაც ისაუბრეს იმ დიდებულ წინაპარზე, რომლის სიბრძნემ, სიდინჯემ, წინდახედულებამ, სტრატეგიული აზროვნების ფოიერვერკულმა უნარმა გადაარჩინა საქართველო სრულ იავარქმნას და მაგალითი მისცა შთამომავლობას, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი წინამძღოლი საკუთარი ერისა. ისაუბრეს პოეტური კრებულის შესახებ, იმ სირთულეებზე, რომლებიც მის გამოცემას ხელს უშლიდა...

შემდეგ კი მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიდნენ ლინა ბარათაშვილი და ეთერ ზარიძე, მზია ხეთაგური და მიმოზა ცანავა, ბადრი ქუთათელაძე და ნათელა გოხელაშვილი, რუსუდან ჭანტურიშვილი და მზია გუმბერიძე, ნინო უძილაური და მაია ბათიაშვილი, მანანა ჩაჩანიძე და მამუკა დემეტრაშვილი, ჯაბა ქელიძე. ისინი კითხულობდნენ ლექსებს, ერთდროულად სევდით ნაღვლით, მწუხარებით და იმედითა და რწმენით რომ იყო დამუხტული.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოებას მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი უძღვებოდა. მან დამსწრეთ წარუდგინა სტუმრები – პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, მომღერალი ირმა სოხაძე და თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე.

კონკურსის გრან-პრი გადაეცა ვანო ჩხიკვაძეს; წლის რჩეული იუბილარების წოდება მიენიჭათ ემზარ კვიტაიშვილს, თემურ ჩალაბაშვილს, ფარნა რაინას, მზია ხეთაგურს. დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედლები გადაეცათ ქეთი დოლიძეს, ჯემალ ინჯიას, მაია მიქაიას, ედუარდ უგულავას, ნიკა ქურიეიშვილს, თამარ მაიმელაშვილს, მარინე ცხვედიაშვილს; დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვდნენ გიორგი ბალახაშვილი, ნოშადი ბართაია, ბადრი სულაძე, გოჩა ხარანაული.

ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიებით დაჯილდოვდნენ თამაზ ხმალაძე, მიხო მორჩილაძე, ბალათერ არაბული, ირმა გურიელი; ანა კალანდაძის პრემიით – ნონა გიორგაძე; ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება მიენიჭათ გიგი ხორნაულს, თენგიზ ჩხაიძესა და მისე ბოროდას.

საღამოზე მოწვეული იყო აფხაზეთიდან დევნილი მწერალი ნაირა მარშანია, რომელსაც დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა.

**ნიკოლოზ ბილანიშვილი**

# ქართული ლიტერატურული პროგრამა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში

მწერალთა სახლისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, ასევე პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021" ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წლის 20-24 ოქტომბერს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ლიტერატურული პროგრამით წარდგება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული კოვიდრეგულაციებისა და შეზღუდვების გამო 2021 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით არ იქნება წარმოდგენილი, თუმცა საინტერესო ლიტერატურულ პროგრამას შესთავაზებს გერმანულენოვან მკითხველს.

21 ოქტომბერს, Roomers Frankfurt-ში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფესტივალის Bookfest City-ს ფარგლებში აკა მორჩილაძე, თავისი წიგნის „ძველი გულებისა და ხმლისა" ახალ თარგმანს წარუდგენს გერმანელ მკითხველს. ღონისძიების მოდერატორი ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართული ლიტერატურის დიდი მოყვარული და ქომაგი, გაზეთის გერმანული გამოცემის Frankfurter Allgemeine Zeitung-ის კულტურის განყოფილების რედაქტორი, ტილმან შპრეკელსენი იქნება.

22 ოქტომბერს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, 2021 წლის საპატიო სტუმარი ქვეყნის, კანადის პავილიონში აკა მორჩილაძისა და კანადელი ავტორის, პოლ სისკვესისის შეხვედრა გაიმართება თემაზე „ენებისა და კულტურის დაცვა და შენარჩუნება – როგორები ვიყავით" (Preserving and Protecting Languages and Culture – The Way We Were – Canadian-Georgian series).

23 ოქტომბერს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში, ყოველწლიური ლიტერატურული ფესტივალი LiteraturBahnhof ფრანკფურტის წიგნის სახლში Haus des Buches ლაშა ბაქრაძეს უმასპინძლებს, რომელიც გერმანელ მკითხველს ქართველი მწერლების უახლეს გერმანულენოვან თარგმანებს წარუდგენს.

აკა მორჩილაძე ლიტერატურული ტურის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს შვეიცარიასა და გერმანიაში. ტური დაიწყება 5 ოქტომბერს ციურიხის ლიტერატურის სახლში, ქართული კულტურის ინტერდისციპლინარული ფესტივალის „ხიდი: ციურიხი – თბილისი" ღონისძიებით და გაგრძელდება მკითხველთან შეხვედრებით მიუნხენის ლიტერატურის სახლში (15 ოქტომბერი) და ნიურნბერგის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (20 ოქტომბერი).

აღსანიშნავია, რომ გერმანულ ენაზე აკა მორჩილაძის ცხრა წიგნია თარგმნილი.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელშიც ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი და ავტორი იღებს მონაწილეობას. საქართველო 2007 წლიდან ტრადიციულად, ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამით, სადაც ქართველი ავტორების და გამომცემლების მონაწილეობით უცხოენოვანი თარგმანების პოპულარიზაციისა და თარგმანის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიება იმართება.

**მწერალთა სახლი**



### მეორე ტურამდე საკითხავი მუნასიბები

*მოვა ყვარყვარე?*

– მე ისევ მოვალ! – ამბობს ყვარყვარე
და მის ორეულს რა შეგვაყვარებს?
თუმცა ნაცარი კვლავ შეგვაყარეს
და ზოგი ცრემლებს რომ ალვარლვარებს,
პასუხად ცერცვი რომ შევაყაროთ,
ისნაელის ვითომ ჭკუას ყვარყვარე?

*სირცხვილია, ქუთაისო!*

თავი იმ დღეს შეგირცხვინეთ,
მშობლიურო ქუთაისო,
შვილს ლამის რომ ვაშჯობინეთ
რძალი სულის მხუთავისო.

**ალექსანდრე შენგელია**

დალი კახიანი

# დროთა მაკავშირებელი ძაფი

*პოეტი იშვიათი სტუმარია დედამიწაზე.*
*პოეტი სააღდგომო დღე და სამყაროს ზეიმია.*
*პოეტისთვის ყოველი დღე ზეიმია.*
*ყველა ადამიანი ვერ იქნება პოეტი.*
*მილიონში მხოლოდ ერთია ნამდვილი.*

თევდორე სოლოგუბი

სულმოუთქმელად წავიკითხე სულ ახლახან რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი-ალბომი „დროთა მაკავშირებელი ძაფი", მიძღვნილი „ქართული ლირიკის ხატად" შერაცხილი დიდი ქართველი პოეტის, ცისფერყანწელთა ორდენის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მისი ბურჯის, ტიციან ტაბიძისადმი, სადაც მერგო პატივი, ჩემი მცირე მოგონებაც ყოფილიყო წარმოდგენილი. წიგნის შემდგენლები არიან: გივი ანდრიაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის ოსტატი, სპორტის რაინდი, ან განსვენებული ვლადიმერ სარიშვილი (1963-2018), საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პოეტი, მთარგმნელი. წიგნზე მუშაობდნენ: ალექსანდრე სვატიკოვი, ჟურნალ «Русский Клуб»-ის მთავარი რედაქტორი და სხვები. ეს გახლავთ მხატვრულ-დოკუმენტური პუბლიცისტიკის შთამბეჭდავი ნიმუში. მოგონებათა ფრაგმენტები დროის ანარეკლია, ერთი სახელოვანი და დიდი ოჯახის ცხოვრების ხაზს მიუყვება და მოგონებათა ქარგაში ჩაქსოვილ ერთიანი „სამყაროს სურათხატს" (ბ.პასტერნაკის ფორმულირებით) წარმოგვიჩენს. სურათხატს იმ ქვეყნისა, რომელშიც ცხოვრობდნენ და ილენოდნენ პიროვნებანი, რომლებმაც ქართულ და რუსულ კულტურაში მთელი ეპოქა შექმნეს.

როგორც ბატონი გივი ანდრიაძე, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი მართებულად აღნიშნავს, „მხოლოდ ამ ნიშნითაც ოჯახური მატიანე ისტორიულ-ლირიკულ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს" და გვაიძულებს, ამ შეუბლალავი პიროვნებების მიმართ კიდევ ერთხელ განვიმსჭვალოთ ღრმა პიეტეტით. თხრობა რიგითობის პრინციპს მიუყვება. და ერთი გამორჩეული ოჯახის მოზაიკურ პანორამას ქმნის.

მემუარისტიკა მით მეტად საშური და საინტერესოა იმ თაობებისთვის, ვინც ვერ შეესწრო დრამატულ-ტრაგიკული კოლიზიებით გაჯერებულ იმ ორგემაგე დროებას, აქ მოლოხივით რომ მოაშთო მეცნიერულ-შემოქმედებითი ინტელიგენციის ბირთვი, ერის სავიზიტო ბარათი და მისი ინტელექტუალური ხერხემალი. იმ ავადსახსენებელ რეპრესიებს და წითელ ტერორს ჩემი თაობა გაიაზრებს წარმოსახვითად, მშობლების და ახლობლების მოგონებებით, მხატვრული ნაწარმოებებით და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმებით (ამ უმძიმესმა წნეხმა ჩვენი ოჯახის მხრებზეც გადაიარა როგორც მამის, ისე დედის მხრიდან).

წიგნი-ალბომი გამოიცა რუსულ ენაზე. რატომ რუსულ ენაზე? უპირველესად, იმისა გამო, რომ ცისფერყანწელები და მეტადრე ტიციან ტაბიძე, იყვნენ ქართული კულტურის დესპანები რუსულ სივრცეში. შემოქმედებითმა ძმობამ, რომელსაც მტკიცე ბალავარი ჩაუყარეს ორი ერის კულტურის მოღვაწეებმა, უმძიმესი პოლიტიკური წნეხის მიუხედავად, გაუძლო დროის გამოცდას და ესტაფეტა გადაულოცა ოჯახების მომდევნო თაობებს. განსაკუთრებულად საგულისხმოა ამ კუთხით დიდი რუსი პოეტის ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის ოჯახების ლეგენდარული და სისხლხორცეული მეგობრობა, რომელიც, აგერ, უკვე ლამის ერთი საუკუნეა, გრძელდება. ეს ურთიერთობა გასცდა წმინდა მწერლური მიმართებების საზღვრებს და მათმა მეგობრობამ ჭეშმარიტად რენესანსული, ამაღლებული დატვირთვა შეიძინა რუსთველისეული დეფინიციით. ტიციანის დაპატიმრების შემდგომ, მაშინ, როდესაც აქვე, გვერდით, ჩვენივე თანამემამულენი პირს არიდებდნენ მის ოჯახს, იქ სადღაც, ცივ რუსეთში, იყო კაცი, რომელიც არ უფრთხოდა შერისხულ ოჯახთან ურთიერთობას და მორალურ მხარდაჭერასთან ერთად მატერიალურ მხარდაჭერასაც უწევდა ტიციანის დაობლებულ ოჯახს. შეიძლება ამის დავიწყება? ისე, ჩვენ კი გვეკუთვნოდა პასტერნაკის ერთი ძეგლი გვქონოდა თბილისის კოლორიტულ უბანში, სადმე მყუდრო სკვერში. სწორედ ამ ურთიერთობების დამსახურებაა ის, რომ რუსულ ენაზე ითარგმნა ქართული კლასიკური და შემდგომი პერიოდის ხელიხელსაგოგმანებელი ლიტერატურული მარგალიტები. ჯერ მარტო „ვეფხისტყაოსნის" და ვაჟა-ფშაველას კონსტანტინ ბალმონტისეული თარგმანი რად ღირს. ქართველებს ასეთი ტრადიცია გვაქვს – ყოველივე საუკეთესოს პირველ რიგში მეგობარს და სტუმარს ვუძღვნით. სწორედ ამგვარი გულისნადილით და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არის ნაკარნახევი მიღებული გადაწყვეტილება, ეს ერთგვარი ხარკის გადახდაა იმ ამაღლებული და შეუბლალავი ურთიერთობების საპასუხოდ. რაღა თქმა უნდა, განზრახულია წიგნის გამოცემა მშობლიურ ენაზე. ეს საშურია იმის გამოც, რომ ახალი თაობები, სამწუხაროდ, არ ფლობენ რუსულ ენას და თითქმის არც იცნობენ რუსულ კულტურას, მით უფრო მე-20 საუკუნის რუსულ ხელოვნებას, რომელსაც ერთ-ერთი საპატიო ნიშა უპყრია მსოფლიო ცივილიზაციის ხელთუქმნელ ტაძარში. ნაკლებად არიან ჩახედულნი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის დრამატულ პოლიტიკურ პერიპეტიებში და სათანადოდ არც აქვთ გაცნობიერებული ის ჯადო-ხიბლი, რითაც იმ ხანის კულტურულ-მხატვრული ცხოვრების მიმოქცევა მშვენობდა. ამგვარ დამოკიდებულებას, სავალალოდ, ჩვენი მთავრობების პოლიტიკური ნებაც უწყობს ხელს. დიდ უმეცრებად და კულტურის დეფიციტად მიმაჩნია პოლიტიკური ნიშნით ამა თუ იმ კულტურის მიღება თუ მიუღებლობა. კულტურა თავისი არსით ხელშეუხებელი ფენომენია.

ტაბიძეების გვარმა ორი სწორუპოვარი სახელით გაამდიდრა საუკუნეების ღრმა პლასტებიდან მოდენილი ქართული სულიერების საწყაო. გალაკტიონი და ტიციანი, ძმათა შვილები, პოეზიის ორი მეტრი, ქართული კულტურული გალაქტიკის კაბადონზე ამობრწყინებული ორი კაშკაშა, შეუქვაუმკრთალი ვარსკვლავი. ორი სრულიად განსხვავებული სულიერი ენერგეტიკის და ტრაგიკული ბედისწერის მქონე პიროვნება, ცხოვრების ნაირგვარი რიტმითა და დღის რეჟიმით.

ხაზგასმით გამოსაკვეთია ის გარემოება, რომ ტიციან ტაბიძე იყო არა მხოლოდ გენიალური პოეტი, არამედ გენიალური დესპანი კულტურათა შორის დიალოგებისა, პოეტი-მოღვაწე, რომელმაც, ქართული მენტალიტეტისა და სიტყვის მაგნეტიზმს აზიარა „დიადი საბჭოეთის" კულტურული პარნასის ბინადარნი. სწორედ ტიციან და ნინა ტაბიძეების ოჯახი იყო ის მყუდრო სავანე, სადაც ყველა სტუმარი, ადგილობრივი თუ ჩამოსული, უკლებლივ ყველა, შეისისხლხორცებდა იმ ფასეულობრივ საფანელს, რომლის გარეშეც ადამიანური ცხოვრება



მიმზიდველობას კარგავს. ამ ხელგაშლილ ოჯახს სტუმრობდნენ ის პიროვნებანი, მე-20 საუკუნის რუსულ კულტურაში ღრმა ხნული რომ გაავლეს. მათი თარგმანებით გაეცნო რუსი მკითხველი ქართულ პოეზიას და შეიგრძნო ქართული სიტყვის არომატი. და ასე იყო მუდამ, სულის მოსაოხებლად რუსი პოეტები სწორედ საქართველოში ჩამოდიოდნენ.

ამაღლებულია ტიციანის და ნინა მაყაშვილის ურთიერთობა, ამაღელვებელია მათი სიყვარულის ისტორია. სწორედ ამ ტრფობას უკავშირდება ტიციანის არტისტული მანერა, ხამოსის ღილკილოში ჩამაგრებული ლაჟღაჟა წითელი მიხაკით თავდამშვენება. ბოჰემური კაფე „ქიმერიონი" სწორედ ის ადგილია, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ტიციანი და პოეტური კითხვების და დისპუტების მოტრფიალე ნინა მაყაშვილი, სახელდებულმა პიერომ კი თავის მომავალ კოლომბინას, სიმპათიის ნიშნად ღილკილოდან ამოწვდილი მიხაკი უძღვნა. ნინა მაყაშვილი, როგორც დიდი სულიერი კულტურის მქონე პიროვნება (იგი ხომ ილია ჭავჭავაძის ახლო ნათესავი იყო), მუდამ ბურჯივით ედგა მხარში პოეტ მეუღლეს, სწორუპოვარ მეგობრობას უწევდა და მისი აღმაფრენებისა და განსაცდელების ერთგული მონაწილეც იყო. მეუღლის გატაცებებსაც დიდსულოვნად ხვდებოდა – პოეტის მუზას თურმე ტიციანის ხელით თავად უგზავნიდა ყვავილების თაიგულს; მიაჩნდა, რომ ეს თავსებადია ლექსის ქმნადობასთან. იშვიათი და შესაშური თვისებაა. ამ ლვაწლმოსილი ოჯახის კედლებს ახსოვთ პოეტური გზნებით მოგვრილი დიდებული წამები. აქ თავს იყრიდნენ საბჭოეთის თვალუწვდენი სივრცეების პოეტური პარნასის ბინადარნი. ეს იყო ერთგვარი კულტურული კერა, კაშკაშა სულიერების ჩირაღდანი. დღევანდელობასაც გადმონვდა მისი ნათება. ცნობილია, რომ თავად თბილისი იყო ოდითგანვე მექა, სადაც ერთიმეორეს გადაეჭდო აღმოსავლური და დასავლური სულიერი მადანი და ნაირგვარობის ერთგვაროვნებაში პოვა ასახვა. იგი ანდამატივით იზიდავდა მოგზაურთ და პილიგრიმებს. ეს ტრადიცია მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა, პოლიტიკური კატაკლიზმების პირობებშიც თბილისი ინარჩუნებდა ცხოვრების იმ წირსა და სტილს, არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა აღფრთოვანებული სტრიქონები რომ უძღვნა. ამ ტრადიციების ერთგულებით მზეობდა ტიციან და ნინა ტაბიძეების საცხოვრისი, ცხოვრების ულრუბლო დღეებშიც და შემდგომაც, როცა ტიციანი უკვე აღარ იყო

ცალკე თემაა ტიციანის და პაოლოს ტარიელისა და ავთანდილისეული, მართლაცდა ამაღლებული ოდების სადარი საარაკო მეგობრობა – რაინდები იყვნენ ბოლომდე, არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც, უპირატესობას და პირველობას ყოველთვის ურთიერთს ანიჭებდნენ უშურველად. ქართველი კაცის სინდის-ნამუსისთვის არ უღალატიათ, სასუფეველისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკსაც ხელიხელგადახვეულები გაუყვნენ, შერცხვენილ კაცობას სახელგაუტეხავი სიკვდილი ამჯობინეს.

ცხოვრების კიდევ ერთი გვირისტით შეკობილი ფურცელია ის, თუ როგორ ეტრფოდნენ სულის გრანდები ულამაზეს ბანოვანებს, რუსთაველის გაშზირს რომ ამშვენებდნენ თავიანთი განუმეორებელი ხიბლით და ჯადოქმილით. არაჩვეულებრივი ეპითეტი მოუძებნა მათ პოეტთა საძმოს ერთგულმა რაინდმა ნიკო აგიაშვილმა, „ვარდღიმილა", მართლაცდა გაუხუნარი მოგონებების დასტაში „ჭაბუკები დარჩნენ მარად". ამ წიგნით მან თითქოს ვალი მოიხადა იმ ტრაგიკული ბედის თაობის წინაშე, რომელიც შეიწირა რეპრესიებმა, მეორე მსოფლიო ომმა თუ უკურნებელმა სენმა, მადლობა მას ამისთვის. ამ ვარდღიმილებს არა მხოლოდ გარეგნული მშვენიერება გამოარჩევდათ, არამედ მაღალი ფასეულობების თანაზიარნიც იყვნენ. ლამაზების თაიგულში განსაკუთრებულად მშვენობდნენ მერი შერვაშიძე, თამუნია წერეთელი, მელიტა ჩოლოყაშვილი, ელისო დადიანი-ამილახვარისა, ისია ნაზარიშვილი, ელენე გიორგობიანი და კიდევ რამდენი ვარდღიმილა მომნუსხავი გუდალო თვალებით. მინდა გამოვარჩიო მსახიობი ისია ნაზარიშვილი ქუთაისელი კათოლიკეების წარჩინებული ოჯახიდან. გასაბჭოების შემდეგ, სხვა ემიგრანტთა მსგავსად, პარიზს გაემგზავრენ. ეს ის ისია ნაზაროვაა, რომელსაც ეტრფოდა ტიციანი. ისია მისი პირველი გატაცება იყო ქუთაისის პერიოდიდან. „ისევ სხვისია ნეტავ ისია?" წერს იგი ერთ-ერთ ცნობილ ლექსში. შემდგომ უკვე თბილისელ ლამაზმანებს, მელიტა ჩოლოყაშვილს და თამუნია წერეთელს ახხამს ხოტბას ძლევამოსილი პოეტური სიტყვით. საინტერესოა, რომ ისია ნაზარიშვილის დას, ელის ეტრფოდა პაოლო იაშვილი და არაერთი ლექსიც უძღვნა.

მინდა, ორიოდ სიტყვით შევეხო ხსენებულ არტისტულ კაფე „ქიმერიონს", იგი რუსთაველის თეატრის სარდაფის სართულზე მდებარეობდა და შემოქმედთა თავშეყრის უსაყვარლესი ადგილი იყო. კედლებიდან თვალს ატკბობდა კაკაბაძის, გუდიაშვილის, სერგეი სუდეიკინის, მოსე თოიძის უმშვენიერესი ნახატები. ჩქეფდა შადრევანი, დაბალ მაგიდებს შორის მოსეირნე შველი მწვანილს დაწვდებოდა და შეახრამუნებდა. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ აქ გაიცნეს ერთმანეთი ტიციან ტაბიძემ და მისმა მომავალმა მეუღლემ ნინა მაყაშვილმა. სწორედ აქ გადაიხადა თავისი ქორწილი გოგლა ლეონიძემ. სულ ოცი სტუმარი ესწრებოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა წარჩევი საზოგადოება იქნებოდა თავშეყრილი. სუფრას თამადობდა ვლადიმირ მაიაკოვსკი.

სახელმწიფოს მესვეურთა ყურადღება მსურს გავამახვილო იმ მიმართებით, რომ ვინაიდან და რადგანაც, რუსთაველის თეატრის სივრცეში თავდაცული მხატვრობა შექმნილია ქართული მხატვრული სკოლის კორიფეების ჯადოფუნჯით, შემოქმედთა თავშეყრის უსაყვარლესი ადგილი გახლდათ და სურათების ერთგვარი გალერეაც, იგი სცდება კულინარიული მოთხოვნების საზღვრებს და კაფე-მუზეუმის სტატუსის მინიჭებას იმსახურებს. ამით ჩვენ რეპრესირებულ ცისფერყანწელთა ხსოვნასაც პატივს მივაგებთ – ეს კაფე ხომ მათი ინიციატივით დაარსდა.

სულ უფრო ცოტა რჩება და თითქმის აღარც არიან ადამიანები, რომელთა მეხსიერებამ ცოცხლად შემოინახა პოეზიის გრანდების სურათხატი. გაქრა და დაიწრიტა მოგონებათა სალარო. ჩემთვის შეუსწრებელი წარსულის გაცნობიერებისა და გათავისების წყარო იყო მამა, პოეზიისა და განსაკუთრებით კი ტიციანის ლექსების მოტრფე, ვინც თავად შეესწრო იმ დროებას და სწორედ მისი მონათხრობებით გავისიგრძეგანე იმ ტრაგიკული დრო-ჟამის გულისმომწყვლელი რეალობა. თითქოს მეც არაერთგზის ავდევნებივარ ჭავჭავაძის დაღმართზე დაშვებული პატრიციის დარად თეთრ ტოგაში გამოწყობილ ტიციანს და მასთან ერთად ჩამივლია თეატრალურ მიზანსცენად გარდასახულ რუსთაველზე, ნაბიჯი შემიწელებია იმ ჭადართან, რომელზე აცოცებული ნიკოლოზ შენგელაია ცეცხლოვანი ჟესტიკულაციით ლექსებს დეკლამირებდა. ესტუმრებივარ არტისტულ კაფე „ქიმერიონს", შემისუნთქავს მისი გამაბრუებელი არომატი. თითქოს მათი ცხოვრებით მეცხოვროს. ამ ხელოვანებმა განუმეორებელი სამყარო შექმნეს. ჯალათის მსახვრალმა ხელმა სულ წარჩევი თავები გადასხეპა. მათ გაიზიარეს ეპოქის ტრაგიკული ბედი. დაისაჯნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარდათ სამშობლო და არასოდეს წასულან სინდისთან კომპრომისზე.

არაშემთხვევითია ალბათ ისიც, რომ ტიტე ტაბიძემ შერქმეულ სახელად ტიციანი შეირჩია – მისი სეხნია, გენიალური ფერმწერი ტიციან ვეჩელიო ხომ იმ ხუთეულში თუ ექვსეულში მოიაზრება, რომელნიც ევროპული რენესანსის მესაძირკვლედ მოგვევლინენ.

ერთ-ერთ ჩემს ლექსში ვწერ: „მე ტიციანის ლექსით ვუსინჯავდი გემოს პოეზიას"; „მე ტიციანის ლექსით დავაგემოვნე სიტყვის ნელკაპი". მოცელილი ცისფერყანწელების მანათობელი ჩირაღდანი კვლავ მრავალ პოეტს გაუნათებს პარნასისკენ მიმავალ არცთუ იოლ გზასავალს. ნება მიბოძეთ, გამოხმაურება დავასრულო ამონარიდით ჩემი პოემიდან („ნეტავ იმ მრწამსს და ნეტავ იმ რწმენას", ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", 2011 წ. №12. რედ. როსტომ ჩხეიძე).

*ბუმბერაზებო, ზარებს ვარისხებ,*
*ხელისგულებზე მიდევს სამყარო და ვახარისხებ,*
*კვლავ გამოგიხმობთ სულიერების ლაბირინთიდან,*
*თქვენს ხატებასთან გავირინდები და მუხლს მოვიყრი.*

# ენობრივი პოლიტიკა, როგორც გამოწვევა

## ნორმატიული პოლიტიკის ახალი ამოცანები ენის ფუნქციონირების თანამედროვე პირობების გათვალისწინებით



ავთანდილ არაბული

მე-19 საუკუნის 60-იანელთა სამწერლობო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, განსაკუთრებით კი იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ" და ენობრივი განათლების მისეულმა ხედვამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. ამავე დროს, მათ არაერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგეს სალიტერატურო ენის აუცილებელი უნიფიცირებისათვის და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ზოგიერთი ნორმის განსამარტავად დღესაც გვიწევს მათი პოზიციების გათვალისწინება. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ უკვდავი პლეადის ძალისხმევა ჯერ კიდევ მაინც შორს იდგა სრულფასოვანი ენობრივი პოლიტიკისაგან, რამდენადაც აღნიშნული ცდები ობიექტურად მოკლებული იყო საჭირო ორგანიზაციულსა და ინსტიტუციურ განმტკიცებას.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმატიული უნიფიცირების მყარი საფუძველი შეიქმნა მხოლოდ **ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების** შემდეგ, რაც თავისთავად გულისხმობდა სათანადო ასპარეზის შექმნას ახალი ქართულის სრულფასოვანი პოლიფუნქციურობის რეალიზაციისათვის და, იმავდროულად, მოასწავებდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცისა და ინსტიტუციური სისტემის გამართვას სახელმწიფო ენის განვითარებისათვის.

ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ ამ საიმედო (საუნივერსიტეტო) საფუძველზე სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის პრინციპები ძირითადად უკვე შემუშავებული ჩანს 1921 წლისათვის. კერძოდ, 1920 წლის 24 მაისს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „ენის მცოდნეთა კონფერენციის" მოსამზადებელი საორგანიზაციო კომისია (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ქ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე) და ერთ წელიწადში უკვე მზად იყო სპეციალური ნორმატიული წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის". ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პირველი სამამულო პრინციპების ძირითადი სულისკვეთება. ეს მიდგომა ღაღადებს, რომ ძირითადი პრინციპია **„ფორმათა ერთსახეობა"**, მაგრამ, იმავე დროს, „უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია **პარალელური ფორმების დაშვებაც"** („სალიტ. ქართულისათვის", ტფ. 1921).

ამას მოჰყვა სალიტერატურო ენის სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მეტად აქტიური ათწლეულები და 1950-იანი წლების დასაწყისში არნ. ჩიქობავას მიერ საბოლოოდ იქნა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომელთაც დაეფუძნა შემდგომი დროის ნორმატიული პოლიტიკა და რომელთაც დღემდე აქვს მინიჭებული წარმმართველი ფუნქცია. ეს პრინციპები აღნიშნული (ხაზგასმული) მიდგომის თვალსაზრისით არსებითად წინამორბედ პოზიციას ინარჩუნებს. კერძოდ, ის გვეუბნება, რომ „ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს **ერთი ფორმა"**, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის **ორი ან მეტი პარალელური ფორმა**, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია, ისინი **დარჩნენ პარალელურად."**

აშკარაა, რომ ქართულ ნორმატიულ პოლიტიკას სპეციფიკურ ნიშნად დაჰყვა ორთოგრამათა (მოცილე გრამატიკულ ფორმათა) ვარიანტულობის დაშვება. თუ შესადარებლად ავილებთ კლასიკური მწიგნობრობის უცხო ენებს, იქ ნორმათა უნიფიკაცია პრინციპული ხასიათისაა: მკაცრად არის დაცული როგორც ნორმა, ისე გამონაკლისი ძირითადი წესისაგან (ეს გამონაკლისები რაოდენობრივადაც კი აღინუსხება). ქართულ სინამდვილეში კი ვარიანტულობა (ერთი ფორმის ორი თუ სამი დასაშვები ვარიანტი) რეალურად იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნორმალიზაციის ზემოაღნიშნული პრინციპები ვარაუდობდა.

მიზეზად ამ ობიექტური რეალობისა შეიძლება რამდენიმე მომენტი დავასახელოთ:

1. სრულიად თვალსაჩინოა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ქართული ენის ნორმალიზაციის სტრატეგია ისახება, ახალი სალიტერატურო ენის ძირითად ბაზისს წარმოადგენს მე-19 საუკუნის კლასიკოსთა მემკვიდრეობა, უმთავრესად ამ მონაცემებზე შენდება ქართული გრამატიკის თეორია (ა. შანიძე) და მასვე ასახავს ნორმალიზაციის უმთავრესი საფუძველი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავა). ეს ენობრივი მონაცემები კი (თვით ახალი ქართულის მშენებლობის სამი ბურჯი – ილია, აკაკი და იაკობი) **მნიშვნელოვან არაერთგვაროვნებას (ვარიანტულობას)** სთავაზობს ახალი (საუნივერსიტეტო) თაობის ენის კანონმდებლებს.

2. ისე მოხდა, რომ ქართული ფილოლოგიის (ქართველოლოგიის) პროტაგონისტების ენობრივი (ამჯერად – უკვე მეცნიერული, რაც პრაქტიკულად მათს სამეცნიერო ტექსტებშიც აისახებოდა) **პოზიცია ბევრ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული აღმოჩნდა**, რისი გათვალისწინებაც ასევე ვარიაციების სახით აჩნევდა კვალს ნორმატიულ წყაროებს. მაგალითად, ა. შანიძეს მიაჩნდა, რომ მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი ჰ-/ს- თანამედროვე ქართულში შენარჩუნებულია (ს-თქვი, ს-ჩანხარ, ს-ძლები...), რაც სასკოლო სახელმძღვანელოებშიც აისახებოდა, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები" კი აცხადებდა, რომ ეს ნიშანი უკვე დაკარგულია. ამავე დროს, მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშანი, რომელიც მესამე სერიის ფორმებშიც სავალდებულო ჩანს, განმარტებითი ლექსიკონის მისათითებელ ფორმებში არცთუ იშვიათად გამოტოვებულია (მაგ.: გაჰკვეხებია, გაჰპრანჭვია, გაჰფენია, მაგრამ: გაპასუხებია, გაბუტვია, გაბნევია, გაბაასებია, გაფხაჭნია, გაფიცვია, დაბრეცია, დაბლაუჭებია, დაფასებია...) და ორთოგრაფიული ლექსიკონიც თითქოს თავს არიდებს მათს ჩვენებას. სხვა პარალელიზმები სხვადასხვა დროისა: ვჰგონივარ // ვგონივარ; შევჩივლებ //შევსჩივლებ; ვილაცამ [//ვილამაც]; ვილაცას [//ვისლაც, ვილასაც]; რაღას // რასლა; რამეს // რასმე; იყვნენ // იყონ; ნასულიყვნენ // ნასულიყონ; ღმერთის // ღმრთის // ღვთის; თავისი // თვისი; ძმაო // ძმავ; რაშიც // რაშიაც; ახლანდელი // ეხლანდელი; ასეთი // ესეთი და სხვ. და სხვ.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე ისიც ითქვას, რომ, ჩვეულებისამებრ, მეცნიერი-მკვლევრის დამოკიდებულება ნორმასთან შედარებით ლიბერალურია, ვიდრე ლექტორ-პედაგოგისა, ვისაც უშუალო და გარკვეული (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ინსტრუქტაჟის გაწევა უწევს მომავალ მასწავლებლებთან. ამითაც აიხსნება ის, რომ უნივერსიტეტის სათანადო კათედრები, წესისამებრ, ბევრად უფრო კატეგორიულნი იყვნენ ნორმატიულ მიდგომებში, ვიდრე კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. ფაქტია, რომ ქართულის გამოცდებზე ლამის ორგვერდიანი „საშელავათო" ჩამონათვალი იყო და არის საჭირო იმ ფორმებისა, რომლებიც გამოსაცდელების შეცდომებში არ უნდა მიგვეთვალა (უცხო ენის გამოცდებში ასეთი ნუსხის ტრადიცია ფაქტობრივ არ არსებობდა)!

3. ვფიქრობთ, ქართული ნორმალიზაციის პოლიტიკა არაპირდაპირ (არადეკლარირებულად), მაგრამ სიღრმისეულად უპასუხებდა თავისი დროის იდეოლოგიურსა და სოციალურ რეალობას. ზედაპირულად ეს მიდგომა შეიძლება დავინახოთ როგორც ლიბერალური ენობრივი პოლიტიკა ტოტალიტარული წესრიგის საპირისპიროდ და მის ახსნას, შესაბამისად, გარკვეული ნაციონალური ნიშანიც მივუსადაგოთ.

სინამდვილეში ამ მიდგომის სოციოლოგიური საფუძველი შეიძლება უფრო სიღრმისეულადაც შევაფასოთ. ამ რეტროსპექციიდან უფრო თვალსაჩინოა, რომ იმდროინდელ სოციალურ სისტემაში სამეცნიერო ინტელიგენციის პრესტიჟი ერთობ მაღალია; სკოლის მასწავლებელი, ლექტორი, მეცნიერი (დოქტორი) მაღალი სოციალური მდგომარეობაა და თანამდებობრივად პრივილეგირებული პარტიული ნომენკლატურა ღიად თუ ფარულად მას უსწორებს მხარს, მას ბაძავს, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს, მასთან ურთიერთობაზე გადის სოციუმის ნდობის გზა. შესაბამისად, ამგვარ საზოგადოებაში ენის საკანონმდებლო და საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმმართველებს ურჩევნიათ თავიანთი ენობრივი ნება განსაკუთრებული აკრძალვების გარეშე დაამკვიდრონ, რაკი საზოგადოების ყურისა და თვალისთვის მათ არც მედიასაშუალებების მხრივ ექმნებათ დაბრკოლება და არც სოციალური მიმღებლობის თვალსაზრისით. სხვაგვარად: **„რბილი" ნორმატიული მიდგომა ენობრივ კანონმდებელთა სოციალური პრესტიჟით იყო კომპენსირებული.**

თუ ამგვარი გადმოსახედიდან შევაფასებთ ჩვენს დღევანდელ ვითარებას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ წინა საუკუნის ზე**მოწარმოდგენილი პარადიგმა თავისი ყველა ასპექტით რადიკალურად არის შეცვლილი.** თანამედროვე პირობებმა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების ახალმა (ზოგჯერ – სრულიად გაუთვალისწინებელმა) პროცესებმა სრულიად განსხვავებული პირობები შემოგვთავაზა. აშკარაა, რომ არცერთი ზემოდასახელებული პირობა, განმაპირობებელი საუკუნისწინანდელი ენობრივი პოლიტიკისა, დღეს რეალურად აღარ არსებობს.

ერთი მხრივ: მე-20 საუკუნის ქართული სიტყვიერი ხელოვნების (საზოგადოდ – ეროვნული ხელოვნების) განვითარება იმდენად ნაყოფიერი და მრავალმხრივი აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სრულიად ახალი ბაზისი შეიქმნა, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით ბევრად უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე წინამორბედი საუკუნის დიდი კლასიკური მემკვიდრეობა. ამას, ცხადია, ის საგამომცემლო-სარედაქციო კულტურაც განაპირობებდა, რაც ახალმა პირობებმა დაამკვიდრა. ამავე დროს, სალიტერატურო ენის უნიფიკაციის პროცესი სრულფასოვანი ინტელექტუალური ცხოვრების მრავალმხრივი მიმართულებით წარიმართა: მეცნიერების ქართველოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგები, სასკოლო და უმაღლესი განათლება, პრესა და რადიო-ტელევიზია, საკანონმდებლო და ოფიციალურ-საქმიანი სფეროები...

ინტენსიურმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა პროცესებმა ობიექტურად მნიშვნელოვნად დააახლოვა საუნივერსიტეტო და აკადემიური წრეების ენობრივი პოზიციები, ბევრი ზემომითითებული ნორმატიული პარალელიზის თაობაზე არსებითად მიღწეულია დამოკიდებულებათა ერთგვაროვნება სწორედ ენის განვითარების ობიექტურ მოთხოვნათა კარნახით. ანუ ამ შემთხვევაში ნორმა „უფრო" ძველია, ვიდრე სოციალური მოთხოვნა.

მეორე მხრივ, რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პროცესები არსებითად არის მოქცეული ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიისა და ახალი ცნობიერების აქტიური დამკვიდრების „ტურბულენტურ ზონაში" და ყველა ნიშანი მეტყველებს იმას, რომ ეს სოციალური „დუღილი" და მისი შედეგები მოკლე პერიოდს არ უნდა მოიცავდეს. ამ ვითარებაში სრულიად გაუმართლებელია ლაპარაკი ტრადიციული მწიგნობრული ელიტის სოციალურ პრესტიჟზე, რაც, როგორც ითქვა, ძველ დროს კულტურული (მათ შორის – ენობრივი) პროცესების თვალსაზრისით ბევრ რამეს განაპირობებდა. დღეს მხოლოდ პოლიტიკური ელიტა არსებობს და ის ყველაფერს აკეთებს, რათა პრესტიჟის ზონა, ანუ პოლიტიკური ასპარეზი მაქსიმალურად გაათავისუფლოს (განსაკუთრებით) ინტელექტუალური კონკურენტებისაგან. სიმპტომურია, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლების რამდენიმე მკვეთრი ცვლილება მოხდა და ბევრი რამ ხელშესახებად შეიცვალა, განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში; მაგრამ ინტელიგენციისადმი, სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებისადმი დამოკიდებულება არსებითად არ შეცვლილა. ეს ვითარება ადეკვატურ ანალიზსა და დასკვნებს საჭიროებს...

რით უნდა უპასუხოს სოციალური გარემოს ტოტალურ ლიბერალიზაციას დღეს ენობრივმა პოლიტიკამ?

ერთი შესაძლებლობაა ის, რომ ენობრივმა პოლიტიკამ ასევე ფეხი აუწყოს ლიბერალიზაციის საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებს, რის ნიშნებსაც მოქალაქე აშკარად ხედავს კიდეც დღევანდელი უწყებების დამოკიდებულებებსა და მოქმედებაში (უკეთ – უმოქმედობაში). ძნელი დასანახი არ არის, რომ სწორედ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა უკარნახებს მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტებს ღიად თუ ფარულად (ფაქტიკურად) დაუჭირონ მხარი, სხვა პროცესების მსგავსად, ენობრივი პროცესების ლიბერალურ განვითარებას, ანუ – თვითდინებაზე მიშვებას. რა გასაკვირია, თუ ამავე „შეკვეთას" უწყობენ ფეხს ის სტრუქტურებიც, ვინც სახელმწიფო ენის ნორმატიული დაცვის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს...

ვფიქრობთ, ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ზემოწარმოდგენილი სურათი გვარწმუნებს, რომ ენობრივი პოლიტიკის დღევანდელი პასუხი არსებული ვითარებისადმი უნდა იყოს სრულიად საპირისპირო იმისა, რის წინაშეც ჩვენ დღეს ვდგავართ, მაგრამ რაც გარდასული ტოტალიტარული სისტემის ერთგვარ გამოძახილად გვესახება. კერძოდ: **დღეს ნორმატიულმა პოლიტიკამ არსებითად უნდა თქვას უარი ვარიანტულობაზე, ანუ ლიბერალიზმზე სალიტერატურო ენის ნორმატიული უზრუნველყოფის სფეროში.**

ამ მიდგომას მთლიანად ამართლებს ის არსებითი ცვლილებები ენობრივი პოლიტიკის საფუძვლების თვალსაზრისით, რაც ქართული მწიგნობრობისა და სახელმწიფო ენის განვითარების კიდევ ერთმა განვლილმა საუკუნემ განაპირობა.

# ეპისტოლე ფრანგი რაინდისა

## ვარიაციები წიგნიდან „მაშრიყით მაღრიბამდე"

თამაზ ნატროშვილი

### ინოკენტი III-ის შეგონებანი

მოდიოდა მეცამეტე საუკუნე – მშფოთვარე და შემზარავი, სისხლიან-ქარიშხლიანი საუკუნე. ენით აუწერელი ვაება და გლოვა ელოდა ქვეყნიერებას. ცენტრალური აზიის სტეპებში დაბადებული ნარღვნა უკვე ფეხს იდგამდა და სადაცაა წალეკავდა მთასა და ბარს, სოფელსა და ქალაქს, სასახლეებსა და ქოხებს, მდიდარსა და ღარიბს, მაჰმადიანსა და ქრისტიანს, სულიერსა და უსულოს.

ველური ყიჟინითა და ფლოქვების თქარათქურით მოდიოდა მეცამეტე საუკუნე, სისხლიან-ქარიშხლიანი საუკუნე, მონღოლთა საუკუნე.

მაგრამ ცოტაოდენი დრო კიდევ დარჩენილა მონღოლებამდე და დასავლეთ ევროპას ჯერჯერობით იერუსალიმის ბედი აფიქრებს. მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ვერაფერი უშველა მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილ „წმიდა ქალაქს". ვენეციელთა მეცადინეობით ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლის აღება არჩიეს სირია-პალესტინის მცხუნვარე მზის ქვეშ ბრძოლას. დაძაბუნებული ბიზანტია უფრო მიმზიდველი საკბილო იყო, ვიდრე აიუბიანთა ლომიერი სახელმწიფო.

ინოკენტი III, ახალგაზრდა და მგზნებარე პაპი, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა დასავლეთ ევროპის მეფე-მთავრებს. იგი მოითხოვდა მათგან ენერგიული ნაბიჯების გადადგმას ქვეშევრდომთა საბრძოლო სულისკვეთების ასაღორძინებლად. რომის პაპი მთელ თავის სამწყსოს შეახსენებდა ათასობით ქრისტიანთა მწარე ხვედრს, სარკინოზთა საპყრობილეებში რომ იტანჯებოდნენ. იგი აფრთხილებდა ყველა მორწმუნეს, მაჰმადიანები მალე ქალაქ აკრასაც აიღებდნენ და იერუსალიმის სამეფოს ნაშთებში შეიჭრებიანო.

რომის პაპი დაუღალავად მოუწოდებდა დასავლეთ ევროპის ქალაქებსა და სოფლებს, ფეოდალებსა და გლეხებს – გამოეყოთ ჯვაროსნული ლაშქრობისთვის იმდენი მეომარი, რამდენსაც კი შეძლებდნენ და გაელოთ სამი წლის სამყოფი მარაგი იარაღისა თუ სურსათ-სანოვაგისა.

წერილს წერილზე წერდა დაუზარებელი რომის პაპი, მაგრამ უშედეგოდ და უნაყოფოდ იხარჯებოდა მისი მთაგონებული მოწოდებანი. რომის პაპი აუწყებდა დასავლეთის ქრისტიანებს, რომ ყოველ მათგანს მიუტევებდნენ თვით უმძიმეს ცოდვებსაც კი, მიუტევებდნენ უკლებლივ ყველას, ვინც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა. მაგრამ მორწმუნენი მაინცდამაინც არ იტკივებდნენ თავს საკუთარ ცოდვებზე ფიქრით. ყოველ ეკლესიაში სალარო დაუწესებინათ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად, მაგრამ ეს სალაროები დროულად ვერ ივსებოდა. საკუთარ ფულს საიმედოდ ინახავდნენ საკუთარ ცოდვებთან ერთად.

რომის პაპმა მაჰმადიან სულტნებსაც გაუგზავნა წერილები კაიროსა და დამასკოში. ამცნობდა მათ, რომ ჯვაროსნები მალე აისხამენ იარაღს ქრისტეს საფლავის სახსნელად და არწმუნებდა, გიჯობთ, მშვიდობიანად დაგვითმოთო იერუსალიმი.

ძალზე ძნელი იყო ჯვაროსნული სულის ხელახლა გაღვიძება დასავლეთში. როგორც ალი ხმელ ჩალას რომ აბრიალებს, მძვინვარედ იფეთქებდა ხოლმე ალტყინება და თვალის ერთ დახამხამებაში ქრებოდა იმავე ალივით. „წმიდა ქალაქი" იერუსალიმი ნელ-ნელა იშლებოდა ხალხის მეხსიერებაში. იგი გადაქცეულიყო ძვირფას მოგონებათა ქალაქად, რომელსაც ამშვენებდა წარსულის გმირული მითობი, ბრწყინვალე სახელები გოტფრიდისა და ტანკრედისა, მაგრამ აწმყო და ლევანტიური ქალაქი თითქოსდა სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ და ერთიმეორისა არაფერი ესმოდათ.

### ჯიუტი ცოდვილნი

საეკლესიო წრეებში თანდათანობით მწიფდებოდა აზრი, რომ იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს უბედურებანი და ჯვაროსნულ ლაშქრობათა მარცხი გამოწვეული იყო ქრისტეს მხედართა არცთუ უცოდველი ცხოვრებით. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროიდანვე ეკლესია გულმოდგინედ ცდილობდა ჩაენერგა ჯვაროსნებში სურვილი ცოდვათაგან განწმენდისა. რელიგიური პათოსით გამოწვეული ლაშქრობის მონაწილისათვის უპირველესი ვალდებულება უნდა ყოფილიყო მისი პირადი უმწიკვლოება. მაგრამ ეკლესია ამაოდ ფლანგავდა თავის მჭევრმეტყველებას. ათასგვარი სამარცხვინო სასჯელით ემუქრებოდნენ ცოდვილთ, მაგრამ არაფერი არ ჭრიდა. მუქარას არავინ უგდებდა ყურს. არც ამქვეყნიური სამსჯავრო აშინებდათ და არც ჯოჯოხეთში მოხვედრის საფრთხეს უწევდნენ ანგარიშს.

ხანდახან იმასაც კი ამტკიცებენ, რომ გვიანდელი ხანის ექსპედიციებში ერთ ჭეშმარიტად ღვთისმოსავ ჯვაროსანზე მოდიოდა ოთხმოცდაცხრამეტი ვაიჯვაროსანი, ნამოსული ლაშქრობაში ან ბრძოლის სიყვარულით, ან თავისი ბატონის ინტერესებისათვის ანდა თავგადასავალთა საძიებლად. ზოგს სურდა თავის დაძვრენა ყმობიდან, ზოგსაც – მომაბეზრებელი ოჯახური უღლიდან. ზოგს იზიდავდა ძარცვა-გლეჯის ფართო ასპარეზი, ზოგსაც – ლაღი ცხოვრება.

### გოგო-ბიჭების ლაშქრობა

შექმნილი ვითარების შედეგად რამდენიმე ხუცესმა საფრანგეთში და გერმანიაში ახალი ქადაგება გააჩაღა. ისინი მოუწოდებდნენ ბავშვებს, შეესრულებინათ ის საპატიო მისია, რომლის შესრულება არ ძალუძდათ მათ მამებს – გამოუსწორებელი უზნეობის გამო. ხუცესები ჰპირდებოდნენ გულუბრყვილო ბავშვებს, რომ ზღვა გადაიქცეოდა ხმელეთად, რათა ისინი ჩასულიყვნენ პალესტინაში, რომ სარკინოზებს სასწაულებრივი პანიკა შეიპყრობდა ბავშვების ლაშქრის დანახვაზე, რომ უფალი მხოლოდ უმანკო ბავშვთა ხელით განახორციელებდა დასავლეთის ქრისტიანთა უწმინდეს მიზანს და იერუსალიმიდან განიდევნებოდნენ წარმართნი.

ათასობით ბავშვი გამოეხმაურა მოწოდებას. ამბობენ, რომ მათი რიცხვი ორმოცდაათი ათასს აღწევდა. ისინი გატაცებით უსმენდნენ ხუცესთა მგზნებარე ქადაგებას, სჯეროდათ მათი ცრუ სასწაულები, მათი მისტიკური ხილვები და მათი ოპტიმისტური წინასწარმეტყველებანი.

და დაიძრნენ აურაცხელი გოგო-ბიჭები ხმელთაშუა ზღვისაკენ.

ორი მთავარი ნაკადი მიედინებოდა ხმელთაშუა ზღვისაკენ. პირველმა გაიარა გერმანია, გადალახა ალპები და გენუის მიმართულებით აიღო გეზი. გზაში ბევრჯერ გაძარცვეს ისინი და წაართვეს მოსახლეობისგან მიღებული საჩუქრები. სიცხე და შიმშილი უმოწყალოდ ათხელებდა უჩვეულო ჯვაროსანთა რიგებს. მრავალი მათგანი დაიღუპა, მრავალმა გზიდან გადაუხვია. როდესაც ჩაალწიეს იტალიას, ისინი მიმოიფანტნენ საჭმელ-სასმელის საძიებლად.

### ზღვა არ განიპო...

საბოლოოდ გენუაში ჩავიდა მხოლოდ შვიდი ათასი ბავშვი. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდნენ დაპირებულ სასწაულს. გადაჰყურებდნენ ხმელთაშუა ზღვას და სულგანაბულნი ფიქრობდნენ, აი ახლა განიპობა წყალი და გზას მოგვცემსო. მაგრამ სასწაული, რასაკვირველია, არ მომხდარა. ზღვა რჩებოდა ზღვად. წყალი არ განპობილა. ხოლო სვლა „ზღვასა ზედა", მიუხედავად დიდი რწმენისა, ბავშვებს არ ძალუძდათ. ისინი ვერ გასცდნენ იტალიას. ჯვაროსან ბავშვთა მცირე ნაწილი, წარმომობით დიდგვაროვანთა წრიდან, გენუის წარჩინებულმა მოქალაქეებმა წაიყვანეს საკუთარ ოჯახებში. დანარჩენნი, იმედგაცრუებულნი და გულგატეხილნი, გაუდგნენ გზას შინისაკენ. ბრუნდებოდნენ ფეხშიშველნი და ძონძებში გახვეულნი. მათ აღარავინ ეგებებოდა ზარ-ზეიმით. პირიქით, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ მშრალზე დარჩენილ „ჯვაროსნებს". საჩუქრებს ვინ ჩივის, ლუკმა პური ენატრებოდათ და მშიერ-მწყურვალნი ძლივსღა მილასლასებდნენ გრძელ გზაზე.

ასეთი იყო გერმანელ ბავშვთა ლაშქრობის დასასრული. მაგრამ ფრანგებს კიდევ უფრო უარესი დღე დაადგათ. არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა სამშობლოში.

მარსელში ჩასვლისას მათი რიგები ისევე შეთხელებული იყო, როგორც გერმანელებისა. ისინიც, გერმანელ ბავშვთა მსგავსად, იმედგაცრუებულნი დარჩნენ. არც მარსელში მომხდარა სასწაული.

### ვაჭრის გუმანი

ალბათ, ფრანგ ბავშვებსაც უკან გაბრუნება ეწერათ, მაგრამ უეცრად ბედმა გაუღიმა გულგატეხილებს. თითქოსდა სასწაულის სხივი აელვარდა უიმედობის სიბნელეში. გამოჩნდა ორი ვაჭარი, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობდნენ და საკუთარი ხელისგულივით იცოდნენ იქაურობა. მედიდურად იდგნენ მათი ხომალდები ნავსადგურში. ვაჭრები წუთითაც არ შეყოყმანებულან, მყისვე დაჰპირდნენ ბავშვებს უფასოდ წაყვანას პალესტინაში. სამაგიეროს უფალი გადაგვიხდისო, ასე განუცხადეს მათ ღვთისმოსავ ბავშვებს. ისინიც, რა თქმა უნდა, სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ესოდენ მომხიბლავ წინადადებას. მოულოდნელი წარმატება მართლაც რომ უფლის წყალობას ჰგავდა. კიდევ უფრო მტკიცედ იწამეს თავისი ზემთაგონებული მისია, ჩვენს ჯვაროსნულ ლაშქრობას ნამდვილად მამაზეციერი დაჰკანკალებსო.

და აი, მარსელის ნავსადგურიდან ერთმანეთს მიჰყვა პატარა ჯვაროსნებით სავსე შვიდი ხომალდი. ბავშვები შეუსვენებლივ გალობდნენ ჰიმნებს და ამაყად აფრიალებდნენ პაპის დროშებს.

ხომალდები აღმოსავლეთისაკენ მიცურავდნენ. ცხადია, ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ ამ ორი „ქველმოქმედი" ვაჭრის მთავარი საქმიანობა იყო ქრისტიანი ბავშვების მოტაცება და გაყიდვა ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიის ბაზარზე. ახლა კი არც დასჭირვებიათ მოტაცება, მზამზარეულად ჩაუვარდათ ხელში უამრავი ბავშვი. გზაში ორი ხომალდი ზღვამ ჩაყლაპა, მაგრამ ვაჭრები მაინც უდიდეს მოგებას ნახავდნენ. ხუთი ხომალდი ჩაიყვანეს ალექსანდრიაში და მაჰმადიანებს მამასისხლად მიჰყიდეს საფრანგეთში მუქთად ნაშოენი ბავშვები.

რა აღწერს ასე უნამუსოდ გაცურებული პატარა რაინდების სასოწარკვეთას!

ორმოცი ყმაწვილი თვით ეგვიპტის სულტანმა შეიძინა, რათა საგანგებოდ გაეწვრთნა ისინი და რჩეული მეომრებით შეევსო თავისი პირადი გვარდია.

ამიერიდან ისინი უნდა აღეზარდათ მაჰმადიან მეომრებად და იერუსალიმის გათავისუფლების მიზნით სამშობლოდან წამოსულნი სულ მოკლე ხანში თვითონვე თავგანწირვით დაიცავდნენ იმავე იერუსალიმს მაჰმადიანთა მხარდამხარ და ქრისტეს საფლავის სახსნელად ამხედრებულ ევროპელ მოძმეთა სისხლს წარბშეუხრელად დაღვრიდნენ...

პატარა ჯვაროსნები ურცხვად მიჰყიდეს მაჰმადიანებს.

### ხსნა იბერიიდან

რომის პაპი განაგრძობდა ქადაგებებსა და მოწოდებებს. ვის უნდა გაეწვდინა შემწეობის ხელი სირია-პალესტინაში უსასოოდ დარჩენილ ჯვაროსანთათვის? უფალსა თუ დასავლეთ ევროპას? მაგრამ უფალი ძალზე შორს იყო ცოდვილი მიწიდან და არც ევროპელი მოძმენი ჩქარობდნენ იარაღის ასხმას.

ვითარება დასავლეთ ევროპაში ხელსაყრელი არ იყო ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ედავებოდნენ მიწებს. გერმანიაში ბრძოლა მიმდინარეობდა სამეფო ტახტის დასაჭერად.

იმედი იბადებოდა და მაშინვე კვდებოდა.

თითქოსდა სამუდამოდ გაეწირა განგებას ჯვაროსანთა ოცნება იერუსალიმზე.

ჯვარცმულის საფლავი რჩებოდა მაჰმადიანთა ხელში.

და ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთში, ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსს ზღვის გაღმიდან მოუვიდა არაჩვეულებრივი ეპისტოლე, ლათინურ ენაზე შედგენილი ნაცნობი ფრანგი რაინდის მიერ:

„ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ამედეს, ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ. დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ ნებითა ღვთისათა, მე და მეულე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.

აღთქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შემდეგი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა – სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც. რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან, ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულტნისაგან, ხან სომხეთის მეფისგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულტანთან.

ან ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ იბერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გეორგიანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ, სწრაფად აღდგნენ და აიღეს რა უკვე სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი მაგარნი დაიპყრნეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან წარჩინებული ყოფილა და დიდი. იმ ქალაქის პატრონი ბაბილონის სულთნის შვილი იყო; და ზემოთ ნათქვამ ქრისტიანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ქაბუკი ესე დედის მისი დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დადვა, და შვილსა სთხოვა, თუ მიიცვლებოდა, ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წაღება წარმართთა ნებით თუ უნებლიედ"... (დე ბუას წერილის ლათინური დედანი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იგი გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა რ. რორიხტმა. ქართულ ენაზე თარგმნა ზ. ავალიშვილმა).

### რომელი ომია ნახსენები?

ქართველთა რომელი ომი არის ნაგულისხმევი ფრანგი რაინდის დაუთარიღებელ ეპისტოლეში?

ალბათ, ასეთი კითხვა გაუჩნდება ქართველ მკითხველს უპირველეს ყოვლისა. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად აუცილებელია დე ბუას წერილში მოცემული ინფორმაციის ანალიზი.

დადგენილია, რომ წერილის ადრესატი – ამედე დე ტრემლე ბეზანსონის არქიეპისკოპოსად იყო 1195-1220 წლებში (სხვა ცნობის თანახმად: 1208-1220 წლებში).

წერილის ევროპელი გამომცემლები არ განმარტავენ „ბაბილონის სულტნის" მნიშვნელობას, როგორც საკმაოდ ცნობილს დასავლეთის ლიტერატურაში. შუა საუკუნეთა ევროპულ წყაროებში „ბაბილონი" ეწოდება კაიროს, აიუბიანთა სახელმწიფო სატახტო ქალაქს და ამიტომაც „ბაბილონის სულტნებად" მოიხსენიებენ აიუბიანთა სულტნებს. ამ ტერმინის პოპულარობას მეტყველებს ის ფაქტი, რომ „სალადინი, სულტანი ბაბილონისა" გვხვდება ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის" ფურცლებზე (მეათე დღე, ამბავი მეცხრე).

რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ „ბაბილონის სულტანს", იგი არის სახელგანთქმული სალადინის ძმა და მემკვიდრე ალ-ადილი, რომელიც აიუბიანთა ტახტზე იჯდა 1200-1218 წლებში.

ფრანგი რაინდი თავის წერილში აღნიშნავს, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი ჰქონდა სარკინოზებთან. XIII საუკუნეში აიუბიანთა სახელმწიფოსა და იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს შორის ორჯერ დაიდო ექვსწლიანი ზავი. პირველად ეს მოხდა 1204 წელს, ხოლო მეორედ – 1211 წელს.

ფრანგი რაინდის ეპისტოლეში ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული სირია-პალესტინის მნიშვნელოვანი მოვლენები ანუ „ადგილობრივი ინფორმაცია", მაგრამ ძირითადი აქცენტი გადატანილია „გარეშე ინფორმაციაზე", რომელიც ეხება საქართველოს.

ქართველები ეომებიან „ბაბილონის" სულტნის ძეს (ე. ი. აიუბიანთა უფლისწულს), რომელსაც ეკუთვნის „ქალაქი ევფრატზე მდებარე". თუმცა არაა მითითებული ქალაქის სახელწოდება, მიუხედავად ამისა, დე ბუას მინიშნება ადვილი მისახვედრია, ვინაიდან საქართველოსა და აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი – თავად ხლათი. სხვა ასპარეზი კონფლიქტისა ამ ორ სახელმწიფოს შორის ისტორიამ არ იცის.

►► დასასრული იქნება



**მუშნი ლასურია** – აფხაზური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახალხო პოეტი, მთარგმნელი, დაიბადა 1938 წელს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რამდენიმე ენაზე. 1981 წელს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" აფხაზურ ენაზე თარგმნისათვის მას მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

„მინეგაგა" მისი ლექსად დაწერილი რომანის ერთ-ერთი თავია, რომელიც ავტორმა ახალგაზრდა მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა. რომანში მუშნი ლასურია მეუღლეს მინეგაგად მოიხსენიებს (ჰენრი უოდსუორთ ლონგფელოს ცნობილი ეპიკური პოემის „სიმღერა ჰაიავატაზე" მიხედვით განგებამ დიდი სიყვარულისათვის უმშვენიერეს მინეგაგასა და უმამაცეს ჰაიავატას მარადიული ერთად ყოფნა არგუნა). „მინეგაგა", ფაქტობრივად, პოეტის უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის დატირებაა.

## მუშნი ლასურია

# მინეგაგა

*მაინც ადამიანი დაიფერფლა.*

**ათანასი ფეტი**

*მდუმარედ ტირიან ლამ-ლამობით მამაკაცები.*
*არის ასეთი ღამეები დედამიწაზე.*
**ფაზილ ისკანდერი**

რად ვეძახით ყოვლისმძლეველს სიკვდილს და სულ რად გვგონია, რომ გვაშორებს საბოლოოდ უძვირფასეს გარდაცვლილებს. მჯერა, სიკვდილს შეუძლია სამუდამოდ დააწყვილოს ორი უნაზესი სული – ღმერთის მიერ ერთმანეთის სიცოცხლისთვის გაჩენილი. ასე გახდა მინეგაგა ჰაიავატას სიყვარულით უკვდავების ბინადარი თავის გულის სწორთან ერთად.

მე იმ დღეს რა დამავიწყებს – ცისკენ სულის აკივლება, როცა ქარმა ღამის ბინდი ნამში დააფინა მიწას. თმა ერთ ნამში გამითეთრდა იმ წყეულ დღეს, მინეგაგა... გეძებ, გეძებ, ვერ გპოულობ უსინათლო ყარიბივით, გეძებ, გეძებ, როგორც ადრე, მინეგაგა, მინეგაგა...

გარიჟრაჟზე გავიღვიძეთ იმ დღეს, ბაღში ჩამოხვედი, გაუყევი მშვიდად ბილიკს. ომის შემდეგ ჩვენ პირველად შევიკრიბეთ კერიასთან, ვიგონებდით სასტიკ დღეებს. შენ გვისმენდი, შენ გვიმზერდი ჩუმად, ცრემლებმორეული, ო, ელენე – მინეგაგა! ძმა ყვებოდა ომის ამბებს, შავ დღეებზე, დაბომბვებით განათებულ ღამეებზე, გადახანძრულ ბლინდაჟებზე, ბრძოლებზე და გმირობებზე. ჩემი რძალი მიკითხავდა ჩანაწერებს დღიურიდან...



მხატვარი იაგო ნიჟარაძე

შემდეგ დები საუბრობდნენ მოკანკალე ხმით და გზნებით, მასზე, როგორ მოელოდნენ ამ შეხვედრას, მინეგაგა. ჩვენც ხომ მათსავით ველოდით ამ ნანატრ დღეს, მინეგაგა!..

როცა მზე მაღლა აცურდა, მინდორს ნაზად გადახედე, შენს საყვარელ ხედს, გარემოს გადახედე, გაუყევი ნაცნობ ბილიკს, ჩემო თვალებნაღვლიანო, ნაცნობ ბილიკს გაუყევი, დიდი ხნის უნახავ ეზოს, ხეებს, მთებს, ზღვის სიმშვიდეს მზერით მიესიყვარულე... მზერით მიესიყვარულე, მინეგაგა, მინეგაგა... ბებერ რცხილას მიეახლე – ჩვენი ეზოს ბრძენ პატრიარქს, ბებერ რცხილას უძვირფასესს, ჩვენთვის სასახლეზე დიადს. ამ ეზოში შემობრძანდი შენ პატარძლად წლების წინათ, ჩემთვის მარად საწუკვარო, მინეგაგა, მინეგაგა!

ციდან ჩამოღვრილი შუქი არემარეს ანათებდა, მე ვიჯექი კერიასთან ჩემს ფიქრებთან მოკამათე, უცებ... ვხედავ საოცრებას – ხელით მოჰყავთ მინეგაგა!.. არა, განა მეჩვენება?! – ხელით მოჰყავთ მინეგაგა!.. გაფითრებულ ბავშვთა მზერას ჩაეკონა სახე შენი... რით გიშველოთ, საყვარელო? – გეკითხებით უხმოდ ყველა... მერე ჩნდება დედაშენი, ექიმებთან ერთად მოდის, „ინსულტია" – ამბობს ვიღაც! აი, შენი განაჩენი!.. დედაშენი ტირის უხმოდ, უხმოდ ტირის მთელი ეზო...

დედაშენი გაცილებდა უცხო გზაზე, მინეგაგა! როგორც მოგაცილა ჩვენთან, ისევ ისე, მინეგაგა... როგორც მოგიყვანა ჩვენთან, ისევ ისე, მინეგაგა...

შენ ნახვედი, ჩვენ დაგვტოვე ტკივილებაკივლებული...

ჩვენ სიკვდილმა არ დაგვინდო, ავსულმა და გველისთვალამ, ასე დაგვაშორიშორა, მინეგაგა, მინეგაგა... ისე მიგაფრიალებდა, როგორც ქარი უცხო ვარსკვლავს, ასე სათნოს, ასე წმინდას, გრძნეულ საზღვრებგადამლახავს, შემდეგ თავის საუფლოში ქალღმერთივით დაგასახლა... ჩვენს ჩრდილს შეგახვედრა მერე და გამღერა იავნანა... გამიმზადე მეც ადგილი მანდ, თქვენს გვერდით, მინეგაგა...

თურმე ომმა ვერ დაუშრო ხალხს ცრემლები – წმინდანივით გაგაცილეს და მთელი დღე ქვითინებდნენ. შენი დუში შემცბარ ვარდებს ჰგავდნენ, იერდაკარგულებს – ასე უცებ როგორ გაქრა ოქრო მათი, სიხარული, ალმაფრენა მათი... როგორ?.. და ტკივილად იქცა უმალ... მინეგაგა!

ყვავილებში ჩაგაწვინეს დაქალებმა, დაგინამეს სახე ცრემლით, და ცრემლის გზით გაგაცილეს და უმანკო მიხაკები დაგიფინა ცრემლის გზაზე მონაფეთა მწუხარებამ, ჩემო ცრემლის დედოფალო, მინეგაგა!.. ჩვენ სიკვდილმა არ დაგვინდო – გადაგვივსო გლოვის თასი.

და ფერფლისფერს დაემსგავსა სამყაროც და ჩემი გლოვაც, მაგრამ... ჩემთან ბავშვებია, ერთ დროს ლაღი გოგონები, მე – უშენოდ დარჩენილი, მე – უმწეოდ დარჩენილი, შევძლებ კი მათ მფარველობას? დედას როგორ ჩავუნაცვლებ? ბეატრიჩეც და ლაურაც აქ ორივე უმწეოა. განა შეუძლია ვინმეს, განა შეუძლია რამეს ჩაენაცვლოს მზის სხივს, წყაროს ხმას ანკარას, დედის გულის გრძნეულ ალერსს?.. მაგრამ ვფიცავ, მინეგაგა, შენი სულის სითბოს ვფიცავ, მათ დავიცავ დარჩენილი დღეებით და ღამეებით, კვირებით და საათებით, წუთით, ნამით...მათ დავიცავ – შენი ნიჭის, სათნოების და სიკეთის გამგრძელებლებს.

შენ კი ციდან გადმოგვხედე, ვარსკვლავური სიმაღლიდან, გაგვინათე გზა-სავალი. ძალზე ხშირად გადმოგვხედე, ძალზე ხშირად, მინეგაგა!..

ჩვენ ერთად ვართ, ისევ ერთად! ყველაფერი არის ჩვენი – ცა, ხმელეთი, პლანეტები... და ჩვენ გვაკავშირებს ხსოვნა, გვაცოცხლებს და გვაძლიერებს. ამ ჭაღარა სტრიქონებით შენკენ მიწარწარებს სული, სული ჩვენი ერთობისა, მინეგაგა, მინეგაგა!

შენ ჩემს სიმღერებში ცოცხლობ, ჩემს სიტყვებში ვგრძნობ შენს სუნთქვას, ტკივილო და ალმაფრენავ, ცაზე სხივად მოწკრიალევ, ზღვის შუქურად მოვლენილო, განთიადო, მზის ამოსვლავ, მინეგაგა!

ღვთიურ მსხვერპლის სახელი ხარ და ღიმილი ღვთისმშობლისა, წმინდა დედის გულის ფეთქვა და ნიშანი ლამისთევის, სულის შრომის... მხურვალება მარადიულ და უქცნობი სიყვარულის, მინეგაგა!

ზღვის ქაფიდან შობილ სახელს შენი ხსოვნა იმეორებს, აქაფებულ ტალღის თავზე მარმარილოს ნათება ხარ, ნორჩი შუქი დედამიწის, სულს რომ ასე ფრთხილად მითბობს. უხსოვარი ზღვების მხრიდან ეს სახელი მოფრთხიალებს და მამშვიდებს, და მამშვიდებს, და მამშვიდებს, მინეგაგაგა! ო, ელენე – მინეგაგა! მარადიულ მარმარილოს უნაზესი ნათება ხარ!..

*აფხაზურიდან თარგმნა*
**გურამ ოდიშარიამ**

---

## ნინო ბოკუჩავა

# ინგა

ომში არასდროს ვყოფილვარ. არ მინახავს, როგორ სდით ადამიანებს სისხლი დასახიჩრებული სხეულიდან, სტანჯავთ ტკივილი, უჩერდებათ გული... სამაგიეროდ, მინახავს ინვალიდი სული, შერყეული გონება და მონამლული ცხოვრება...

მინდა, ერთ საშინელ ბრძოლის ველზე გიამბოთ, რომელსაც, ჩემს სხვა ნოველებშიც ექნება გაგრძელება, ვინაიდან ეს ბრძოლა უსასრულო შეიქნა და, ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს.

კარგი, დავიწყოთ! ცოტა მიჭირს ამ თემაზე წერა, რადგან მოყოლის დროსაც კი, ისეთ ტკივილს განიცდი, თითქოს ხანჯალი გქონდეს გულში გაყრილი. ვერც ილებ მას, ტრიალებს, უფრო ღრმად შემოდის შენში, არ ჩერდება და ნელ-ნელა გკლავს...

ორმოცდაექვსი წლის ვიყავი, ჩემმა ერთადერთმა ბიჭმა ნარკოტიკის მოხმარება რომ დაიწყო. წარმოსახვაში, მრავალი წელი, გრძელი, რატომღაც ოსმალური ხმალი მეჭირა ხელში და ვებრძოდი დაუმარცხებელ მტერს, რომელიც ჩემზე ბევრად ძლიერი იყო, მაგრამ ვებრძოდი და დღესაც ვებრძვი.

ამ ბრძოლებზე სხვა დროს, უკეთ გიამბობთ! ახლა კი, ერთი ისტორია უნდა მოგიყვეთ, რომელიც სწორედაც ამ ჩემს ამბავს გადაება და დარჩა კიდეც ჩემში, ტკივილად და ოხვრად...

იმ წელს ბიჭი პატიმარი მყავდა.ეს, ის პერიოდია, როცა, ამ ავადმყოფ ბიჭებს გამოკეტავდნენ, რომ ცოტა აზრზე მოეყვანათ. ჩემი აზრით, არ იყო ურიგო პოლიტიკა – ჰქონდა დადებითი შედეგი, უარყოფითიც, მაგრამ სიკვდილს ხომ სჯობდა, არა?!

მეც ამგვარად ვიმშვიდებდი თავს, როგორც ბევრი ჩემნაირი დედა დედამიწის ზურგზე. ჩვენ კი, ძალიან ბევრნი ვართ, სამწუხაროდ.

გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, შეგვეძლო შეწყალების კომისიისთვის თხოვნით მიგვემართა, რომ დარჩენილი თვეები თუ წლები მოეხსნათ პატიმრისთვის.

ავლაბარში, პრეზიდენტის კანცელარიის შენობაში, პირველ სართულზე, განთავსებულია შეწყალების კომისიის თავმჯდომარის მისაღები. გარეთ გამოკრულია მიღების დღეები და საათები. აი, სწორედ აქ, ამ ადგილას იწყებ პატიმრის პატრონი სხვა ცხოვრებას...

•

დილის შვიდი საათია. მაედნიდან ფეხით შევუდექი მეტეხის ხიდს. ცხელა, ზაფხულია, ავლაბარში უნდა ავიდე. ხიდზე გადასვლა მესიამოვნა, მტკვარს სიგრილე მოჰყვება. შემდეგ კი, აღმართი იწყება, მაგრამ ვუმკლავდები. დროდადრო გავჩერდები ხოლმე და უკან ვიხედები, ვტკბები ძველი თბილისის სანახებით, დიდებულებით, ალბათ უფრო... როგორც იქნა, სომხურ ეკლესიასთან მივედი, წინ პატარა სკვერია, ჩამოსაჯდომიც ბლომადაა.ვფიქრობ, როცა თავისუფალი დრო მექნება, აუცილებლად დავისვენებ ამ ადგილას. განსაკუთრებით ტირიფების გარემოცვა მხიბლავს – რაღაც განსაკუთრებულ გრძნობებს მიღვიძებენ მათი ძირს დაშვებული ტოტები. ისინი, რა თქმა უნდა, ჩემს წარსულთან არის დაკავშირებული, თორემ ახლა, არაფერი საინტერესო ჩემს გარშემო არ ხდება. (სამწუხაროდ, როგორც „ახლები" იტყვიან ხოლმე).

ეკლესიიდან მარცხნივ, მეტროსადგურ „ავლაბარის" მოპირდაპირედ, პატარა ქუჩას უნდა ავუყვე, შემდეგ მარჯვნივ, რუისპირის ქუჩაა, ის კი, ფშავის ვიწრო ქუჩით გრძელდება. ავდივარ ზევით და ზევით, თან გარემოს ვათვალიერებ: ძველი ჰავლაბრის აივნიანი სახლები ჩანაცვლებულია თანამედროვე არქიტექტურით (მივესალმები). ზოგან თუ დარჩენილან ლილისფრად შეღებილი ხის მოაჯირები და ლობეები, მაინც მხიბლავს მათი დანახვა...

და აი, ნანატრი მისამართიც – პრეზიდენტის კანცელარიის შენობა – ნაცრისფერი, სულ მთლად მუშის, პლასტმასის კარ-ფანჯრით... თუმცა, ახლა მისთვის არა მცალია, მაშინვე ვიწყებ იმ მოქალაქეების დათვლას, რომლებიც ჩემზე უფრო მკვირცხლები აღმოჩნდნენ, დამასწრეს მოსვლა და რიგის დაკავება, ოცდამეექვსე ვარ! მაინც კარგია, წინა მოსვლაზე, მგონი, ასოცდამეექვსე ვიყავი და საღამოს, მისაღების დახურვისას მომინია შესვლა.

ფრიად სასიამოვნო პიროვნება გახლდათ ახლანდელი კომისიის თავმჯდომარე – შესახედავად წარმოსადეგი, ინტელიგენტი და განათლებული კაცი. მის დაპირებას ენდობი, არ მოგატყუებს, ისეთს არაფერს გეტყვის, რომ გული გატკინოს, მაგრამ იოლადაც არ დაგპირდება რამეს. პატიმრის პატრონს კი, მხოლოდ ერთი რამის გაგება სურს მისგან – თუ შეიწყალებენ მის შვილს და როდის. ამის მოსასმენად ვათენებთ და ვაღამებთ იმ შენობასთან. ამავ დროს, ყველამ ვიცით, რომ ჩვენს კითხვაზე პასუხი, მხოლოდ მისი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ იმედს ხომ გვაძლევს? ჩვენც ამ იმედისთვის ვზივართ იქ, ქუჩაში, ქვის კიბეებზე და ჩვენს რიგს მოთმინებით ველოდებით. მარჯვნიდან, სამების ტაძრის ერთ-ერთი ფლიგელი გადმოგვყურებს, დაილოცა მისი სახელი!

გამარჯობა, რა გქვიათ? – გამოველაპარაკე ერთ ახალგაზრდა ქალბატონს, რომლისკენაც რატომღაც გულმა გამიწია.

ინგა – მიპასუხა მან და თავისი ულამაზესი, მწვანე თვალებით შემომხედა. ვიგრძენი, მასაც უნდოდა ლაპარაკი. როდესაც ადამიანებს საერთო გასაჭირი გვაქვს, დიალოგი და გულის გადაშლა საუკეთესო საშუალებაა, რომ შენი თქვა და ცოტა ამოისუნთქო. ისიც ხომ იტყვის თავისას და მოეშვება.

ინგას მუქი ხორბლისფერი სახის კანი აქვს, გამხდარია, ტანადი და მიმზიდველი, თვალებში დიდი სევდა აქვს. პატიმრის დედის სევდას ვერაფერს შეადარებ, მას ანალოგი არ აქვს. ის ერთადერთია, სასტიკი და დაუნდობელი. დგას სახეზე და არ იძვრის.

ჩემსას სამუდამო აქვს მისჯილი – ჰყვება ინგა. ოცდაორი წელია ციხის კართან ვდგავარ, აქაც სულ მოვდივარ და ვითხოვ, ჩემი ნიკა შეიწყალონ.

ვაკელები ვართ, საუკეთესო პირობებში ვზრდიდი, კარგი ბავშვი იყო, ახლა კი კაცია... სამუდამოდ, მეც აქვე, ახლოს უნდა ვიყო, სადაც ნიკუშაა, სხვა რა უნდა ვაკეთო?!

მეც, რათქმაუნდა, მოვუყევი, როგორ გავზარდე ჩემი ბიჭი, საუკეთესო განათლება მივეცი, მაგრამ ნარკოტიკზე გაცვალა თავისი და ჩემი ცხოვრებაც.

– იცით, რამდენი საპატიმრო გამოვიცვალეთ?! – აგრძელებს ინგა.წინა მთავრობის დროს, ორთაჭალის ციხეში ვიჯექით, სრული ქაოსი, შიმშილი, სიბინძურე და ანტისანიტარია იყო საკნებში. ძალიან გაუჭირდა ნიკუშას, ორჯერ თავის მოკვლაც კი სცადა. აბა, წარმოდგინეთ, მე გარეთ როგორ დღეში ვიყავი. ბევრი ვიფიქრე და გადაწყვეტილება მივიღე-ნიკუშასთვის საკუთარი, კომფორტული საცხოვრებელი ავაშენებინა საპატიმროში. ორი ბინა გავყიდე ვაკეში, ერთიც,

აგარაკი წყნეთში.უამრავი ხალხი შევაწუხე, რომ მშენებლობის უფლება მიმელო. როგორც იქნა, მოვიპოვე. სამი წელი ვაშენებდი და მშვენიერი საცხოვრებელი გავუკეთე ბიჭს საპყრობილეში.საკუთარი სამზარეულოც აქვს და აბაზანაც. ბედნიერი ვარ, ეს რომ შევძელი, – დაასრულა ინგამ ამბავი...

ბევრი ტრაგედიის შემსწრე ვყოფილვარ ცხოვრებაში. როგორც ჩანს, არაფერი მინახავს! ინგას სულიერმა მდგომარეობამ ნონასწორობა დამაკარგვინა. ვიგრძენი, რომ გონებას ვკარგავდი და შიმშილი მოვიმიზეზე. (სტრესმა გლუკოზის შემცველობა სისხლში მკვეთრად ასწია) ინგას ცოტა ხნით მოვცილდი და ძირს დავეშვი, ისევ ვიწრო ქუჩების გავლით. ეკლესიის სკვერთან პატარა „ბისტრო" მეგულებოდა, მშვენიერ სალათებს ამზადებენ. შევედი, სულ ორი მაგიდა დგას, სკამზე ჩამოვჯექი, ქათმის სალათი და ერთი მჭადი ავიღე და შევჭამე. მერე, ორი ცივი ყავა ჩამოვასხმევინე და ისევ აუუყევი აღმართს. ინგა კიბეზე იჯდა, სხვას ესაუბრებოდა, თავის ამბებს უყვებოდა... გვერდით მივუჯექი და ყავა მივაწოდე, მადლობა გადამიხადა და სიამოვნებით მიირთვა. მეც მესიამოვნა, სხვა რა შემეძლო?!

როგორც იქნა, ჩემი რიგი მოვიდა. რა თქმა უნდა, იმედიანად გამომისტუმრა თავმჯდომარემ, რისთვისაც მისი დიდი მადლობელი ვარ.

ნეტა, ინგას რა უთხრა? – გავიფიქრე და ძებნა დავუწყე.

– „ის" დამპირდა, წელს აუცილებლად შეიწყალებენ ჩემს ნიკუშას, – მიმავალმა, შემომძახა შორიდან. სახეზე ღიმილი ეფინა, თვალები იმედიანად უბრწყინავდა და ხმაც ომახიანი ჰქონდა – მალევე დავემშვიდობე და ერთმანეთს დავშორდით. სხვა დროს არც შემხვედრია

უკან გზაზე მომავალს, ბევრი საფიქრალი დრო მქონდა. ვიფიქრე, ვიდარდე, დავსევდიანდი. ღმერთო, რომ არ შეიწყალონ, მაშინ?! სამუდამოდ... არც მინდა, ვიფიქრო... მაგრამ სახლი, ნიკუშას სახლი, ინგამ რომ აუშენა... ღმერთს ვსთხოვ, ნუ დაუნგრევ მას ამ სახლს! ინგა ხომ ამ წარმოსახვაში ცოცხლობს, სუნთქავს და იბრძვის... მეც სხვა რა დამრჩენია, მიჭირავს ხელში ოსმალური ხმალი და ვიწევ. ეს უკვე ჩემი წარმოსახვაა... ხმალიც მხოლოდ ჩემია...

# ეს მოხდა თბილისში

## ფრაგმენტი ადრე დაწერილი მოთხრობიდან



### ზურაბ კანდელაკი

***ავტორის მინაწერი:** იქნებ ეს ფრაგმენტი მომავალ რომანში ან იქნებ მოგონებებში შევიდეს ან სულაც ეს იყოს დასაწყისი. დროა რაღაცის შექმნის, თორემ...*

ფოთლები, ყვითელი, გამხმარი ფოთლები ეყარა ირგვლივ, ბევრი იყო, ბევრზე ბევრი, თითქოს მარტო ხეებიდან კი არა, ციდანაც ცვიოდა, იმდენი იყო, რომ სიარულს უშლიდა, ნაბიჯს ამძიმებდა და, რაც მთავარია, საშინელ ხმას გამოსცემდა, თითქოს ირგვლივ ყველაფერი იფშვნებოდა, ტყდებოდა. ცუდ შეგრძნებას იწვევდა ეს ხმა, რაღაც წარმავალს, არამყარს აგონებდა, სასაფლაოს ხმასაც აგონებდა რატომღაც, – ახალგათხრილი საფლავიდან ამოყრილ მიწაში რომ მიდიხარ, იმას ჰგავსო, ისე თუ იმ მიწაში არ გაივლი, ძნელია საფლავთან მისვლა, მოსუფთავებულ მხარეს ხომ ჭირისუფლები დგანან და თუ შენც გინდა, ერთი მუჭა მიწა მიაყარო, იქ, ორმოში მყოფს, მაშინ უნდა იმ მიწაში გაიარო, ორმოდან ამოყრილ მიწაშიო. – ისევ გაიარ-გამოიარა, ყური მიუგდო ფოთლების ხმას, – ეჰ, ნერვების ბრალიაო, საიდან სადა, სად ეს ხმა და სად ის ხმა, ან რა მახსოვს, ის რა ხმაა, ახალგათხრილი საფლავიდან ამოყრილ მიწაში რომ მიდიხარ, ის ხმაო. ეჰ, ყველაფერი წარმავალი და არამყარია ამქვეყნად, როგორც ეს დაჩამიჩებული და ნახევრადდამპალი ფოთლები, სულ ცოტა ხნის წინ კი ალბათ როგორ ამშვენებდნენ ამ გამიშვლებულ ხეებს, ალბათ სუნთქავდნენ და შეიძლება კიდეც ლაპარაკობდნენ?! განა ყველაფერი მოსალოდნელი არ არის?! ნუთუ ბედი ამ დამპალ ფოთლებში მიმზადებს სიკვდილს? ღმერთო, ამაოდ ხომ არ დავენდე?! ამაოდ ხომ არ დავენდეო!.. ალბათ, ცუდია დამპალ ფოთლებში სიკვდილი, ან იქნებ, პირიქით, კარგიცაა? ვინ იცის... ეჰ, ისევ ვინ იცის!

ამ ბაღს ხუთი თითივით იცნობდა, სამალავიც ჰქონდა, სამი მხრიდან დაცული ადგილი და იმ ერთი მხრიდანაც ძნელად შესამჩნევი. მთელი ბავშვობა ამ ბაღში გაატარა. ეს სამალავიც მაშინ აღმოაჩინა, არავინ იცოდა მისი არსებობა, მარტო იმან იცოდა, იმან, ვისაც ელოდებოდა. ისინი ხომ ბავშვობაში ერთად თამაშობდნენ! მაშინ უმალავდა, არც მისთვის უნდოდა ეჩვენებინა ეს ადგილი, მაგრამ ერთხელ, როდესაც დაიმალა და ვერაფრით ვერ იპოვნეს, ძალიან შეეხვეწა, მითხარი სად იყავი დამალული, მითხარიო, და ვერ დაუმალა უთხრა. – ალბათ ახლაც ეხსომება! – პო, ეს ბაღიც ამიტომ ირჩია, რომ ბავშვობას აგონებდა, ალბათ იმასაც მოაგონებს ბავშვობასო, თორემ სამალავები სხვაც ჰქონდა, ბევრი ჰქონდა.

მოღრუბლული, უღიმღამური დილა დგებოდა. უკვე დრო იყო, უკვე უნდა მოსულიყო! სამალავისკენ წავიდა, ჯიბეები მოისინჯა, ორი გატენილი რევოლვერი ედო, შეიძლება დამჭირდესო, რა ვიცი, ყველაფერი მოსალოდნელია, შეიძლება მარტო არ მოვიდეს, ოჰ, თუ მარტო არ იქნება, მაშინ მიყურონო! უკვე, თითქმის საბოლოოდ გატეხილს, ღალატზე ფიქრი ძალა უათკეცებდა, – მაშინ მიყურეთ, არ გამოგივათ ნადირობა, ძვირად ფასობს ჩემი ტყავიო! – სამალავში იწვა, დამპალ ფოთლებში, განაბული, თვითონაც თითქოს ფოთლადქცეული. ძნელი იყო მოლოდინი, ძალიან ძნელი, ნუთუ არ სჯეროდა, ნუთუ არ ენდობოდა იმას, ვისთანაც ხშირად წოლილა ასე სამალავში, მართალია დიდი ხნის წინათ, მაგრამ დრო ნიშნავს რამეს? – ეს ხომ თითქმის გუშინ იყოო, გუშინდელივით მახსოვსო! – და რადგან მომსვლელი კიდევ არ ჩანდა, ისევ და ისევ ეს გაიფიქრა – ამაოდ ხომ არ დავენდეო?! ეჰ, თუმცა... სხვა გზა მაინც არა მაქვს, რაც მოხდება მოხდესო! – შავი ქალაღდი ხელმოწერილი იყო, სადაც შეხვდებოდათ, იქ უნდა მოეკლათ, გაუფრთხილებლად, კურდღელივით! პოდა, რა უნდა ექნა? ძალა აღარა ჰქონდა, წინააღმდეგობის გაწევის უნარიც, ამიტომაც გრძნობდა, იცოდა, დანამდვილებით იცოდა, რომ ვერ გაძლებდა!.. როგორმე, როგორმე დანებება უნდა მოეხერხებინა, ეს თუ იხსნიდა, მაგრამ როგორ მოახერხებდა?! ვინ დაინდობდა?! შიშმა შებორკა, გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა და იმ მყრალ სარდაფში განა რამდენ ხანს გაძლებდა?

და მყრალ, აქოთებულ სარდაფში მიკუჭულს, გიგა გაახსენდა, ბავშვობის ძმაკაცი, ეგ მიშველისო, თუმცა ბევრი რამ ჰქონდა მასზე გაგებული, დაუნდობელი, საშინლად დაუნდობელიაო, მაგრამ მის მიმართ ვერ იქნებოდა დაუნდობელი, მათ ხომ ბავშვობისდროინდელი ძმაკაცობა აკავშირებდათ! – არა, მე მიშველის, ყველაფერს გააკეთებს და მიშველისო! – და გაბედა. წვალებით, დიდი წვალებით მოახერხა და შეუთვალა – მიშველე, გიგა, მიშველე, იცოდე, აღარ შემიძლია, მეშინიაო!.. მოდი, შევხვდეთ, შენ ჩაგბარდები, ჩემი დაჭერისთვისაც გეტყვიან მადლობას, პოდა, შენ დამიჭირ, შენ მიმიყვან, ხომ მენდობი, დაგინახავ თუ არა, იარაღს დავყრი, ბიჭო, ჩვენი ბაღი ხომ გახსოვს, სამალავიც ხომ გახსოვს, იქ დაგელოდები, გათენებისას მოდი, ხალხი არ იქნება, აბა, გელოდებიო! – და ახლა დამპალ ფოთლებში იწვა და ელოდა მის გამოჩენას, ეჭვი მაინც ღრღნიდა, რატომ აგვიანებსო და რევოლვერს სინჯავდა, ორივე რევოლვერს. – ღმერთო, ღმერთო, გამიმართლე, რა იქნება, გამიმართლეო! მარტო მოვიდეს, გევედრებიო! – და გაუმართლა, გიგა მარტო მოვიდა. შუა ბაღში გაჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხედა, სამალავისკენ არც კი გაუხედავს, თითქოს მისი არსებობა დაავიწყდაო. ის კი, იწვა სამალავში და რევოლვერს მაგრად უჭერდა ხელს, ჯერ კიდევ ისევ ღრღნიდა, ისევ აწვალებდა ეჭვი, – იქნებ მარტო არ არისო?! შეიძლება, იქ, ბაღის შემოსასვლელში არიან დამალულები და ჩემს გამოჩენას ელიანო, მე ხომ შევუთვალე, – მოხვალ თუ არა, იარაღს დავყრითქო, პოდა, შეიძლება ჩემს შეცდომას ელიან, ამ გაუფრთხილებელ ნაბიჯს, ნდობის ნაბიჯს ელიან და რომ გამოვალ იარაღდაყრილი, რომ გამოვძვრები ბუჩქიდან კურდღელივით, მეძებრის მიერ დამფრთხალი კურდღელივით, მაშინ დაიწყებენ ნადირობას, ხომ შეიძლებაო?! მაგრამ არა, არ შეიძლებაო, ნამდვილად მარტოა, თორემ რაღაცას ვიგრძნობდი, ტანი მიგრძნობდა, ჩემი ალღო, ასეთ შემთხვევაში უტყუარი ალღო, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ გადავურჩენივარ, რაღაცას მეტყოდა, მაგრძნობინებდაო! – პოდა, საბოლოოდ დაიჯერა, ირწმუნა, რომ მარტო იყო მოსული. – არა, არასოდეს არ უნდა იფიქრო ცუდი, არასოდეს არ უნდა იფიქრო ცუდი ბავშვობის მეგობარზეო, არ შეიძლება ამის ფიქრი, გაფიქრებაც არ შეიძლება, თორემ მართლა შეუძლებელი გახდება ეს წყეული ცხოვრებაო. – უყურებდა გიგას და უკვირდა. ნუთუ, ეს ის არის, ის პატარა ბიჭი, მე რომ მეხვეწებოდა, სამალავი მაჩვენე, ძალიან გთხოვ, მაჩვენე, მეც შენთან ერთად დავიმალები, ერთად ვიყოთ, ვიმეგობროთ, გეხვეწები, მაჩვენეო! როგორ შეცვლილა, ალბათ მეც შევიცვალე – მე უფრო შევიცვლებოდიო, მე კი ვფიქრობდი დრო არაფერს ნიშნავსო, თურმე ბევრ რამეს ნიშნავს. დრო ყველაფერს ცვლის, ყველაფერს, ნუთუ იმ პირველ, ბავშვობისდროინდელ მეგობრობასაც მოერევა, ნუთუ?.. ყველაფერი წარმავალი და არამყარია?! – გრძნობდა, უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით, რაც ფიქრები მოეძალა, მის შემდეგ, რომ დაღუპავდა ეს ფიქრები, აუცილებლად დაღუპავდა. ფიქრები ხომ მოქმედების უნარს უკარგავდა! – ჩვენს საქმეში ბევრი არ უნდა იფიქრო, მხოლოდ ტანის გრძნობას, ყნოსვას უნდა დაენდო, ფიქრის დრო ჩვენ სადა გვაქვსო, – ხშირად ეუბნებოდნენ მეგობრები, ეტყობა, ამჩნევდნენ ამ ნაკლს და ისიც ცდილობდა, ნაკლები ეფიქრა და დანდობოდა ტანის გრძნობას, ყნოსვას, მოახერხა კიდეც და ასეთი რჩევისთვის, ბევრჯერ გადაუხდია გულში მადლობა მეგობრებისთვის. ახლა კი, ბოლო დროს, ისევ და ისევ ეძალებოდა რაღაც უაზრო, განყენებული ფიქრი, წარმავალზე და არამყარზე ფიქრი და ალბათ ამიტომაც იყო, ცუდად წავიდა მისი საქმეები, ძალიან ცუდად. მაგრამ რა ექნა. ფიქრები გასაქანს არ აძლევდნენ, ყველგან თან სდევდნენ და აღარ ტოვებდნენ, ერთი წამითაც აღარ ტოვებდნენ, ახლაც, სამალავში, მათ დაღუპეს, რადგან ვერ იგრძნო ხიფათი, ტანმა ველარ უშველა, ვეღარ შეიგრძნო დამპალ ფოთლებში გამჯდარი სიკვდილის სუნთქვა.

გიგა იდგა შუა ბაღში და ელოდა. – ხედავ, როგორ აუღელვებლად დგას, მენდობა, მე კი, სულო ცოდვილო, რას არ ვფიქრობდიო! – და გადაწყვიტა, დავენდობიო, უნდა დავენდოო. ჯერ ერთი რევოლვერი, ხელს რომ უწვავდა, მოისროლა, შორს მოისროლა, მერე მეორე, უფრო მომცრო, მისთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარი, მეგობარი, ნამდვილი მეგობარი, ბევრჯერ მხსნელი ის მეორე რევოლვერი შორს ვერ ისროლა, შეეცოდა, იქვე დაუგდო გიგას, ფეხებთან ახლოს. ამ დროს კი საიდანღაც დაუბერა და აშრიალდა, ცუდად, ავის მომასწავებლად აშრიალდა დამპალი ფოთლები და დატრიალდა ჰაერში სუნი, დამპალი სუნი. ის კი, სამალავიდან გამოსული, უმეგობროდ დარჩენილი, რადგან მისი ნამდვილი და ერთადერთი მეგობარი იქით ეგდო, გიგას ფეხებთან, გალიმებული, მისკენ, გიგასკენ მიდიოდა და დაუბერა ისევ ქარმა, ახლა უკვე სახეში მიაყარა დამპალი ფოთლები და სუნიც დატრიალდა ჰაერში ისევ, დამპალი სუნი და კიდევ უფრო საშინელი, სიკვდილის სუნი! მაინც ვერ იგრძნო ვერაფერი, ტანი ვერ გრძნობდა ვეღარაფერს, ან თუგინდ ეგრძნო, რა უნდა ექნა? და ნელა, ძალიან ნელა მიდიოდა შუა ბაღისკენ. გიგა კი ისევ ისე იდგა, გაუნძრევლად. – რატომ არ მოდის ჩემს შესახვედრად? ერთი ნაბიჯი მაინც გადმოედგას, ხომ დიდი ხანი არ გვინახავს ერთმანეთიო, ნუთუ?! და ახლა, მხოლოდ ახლა გაუელვა ტანში რაღაცამ, – ნუთუ, ნუთუო?! – მაგრამ უკვე გვიან იყო, გიგას ხელში ელავდა პრიალა ნივთი. – „ტეტეაო"! – გაიფიქრა, – ნეტა, რად უნდა? – კიდევ, კიდევ არ სჯეროდა, – ალბათ ჩემსავით გადააგდებსო! – მაგრამ არა, ხელი, გიგას ხელი, ნელა იწევდა ზევით, მისი თვალების გასწვრივ და გაუსწორა პრიალა ლულა, მის თვალებს გაუსწორა. – რას, რას აკეთებს!.. შუბლში მიმიზნებს, შუბლში!.. რადა, რატომო?! – ტანი კი ახლა უკვე გრძნობდა, ნამდვილად გრძნობდა სიკვდილის სუნთქვას. – გიგა!.. გიგა!.. ბიჭო, მე ხომ იარაღი დავყარეო! – და თავისდაუნებურად, ორივე ხელი მაღლა ასწია. – თუ ასე გინდა, აჰა, გნებდები, ახლოსაც არ მოვალ, თუ წესით გინდა, იყოს წესითო! – ხელაწეული მიდიოდა, თუმცა არა, ეგონა, რომ მიდიოდა, ნაბიჯს ვერ დგამდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა, მარდი ფეხები. – როდის მოასწრო იარაღის ამოღებაო, როდის?! – მაგრამ ამას უკვე არ ჰქონდა მნიშვნელობა, – შუბლში მიმიზნებს, შუბლშიო! – და მიხვდა, საბოლოოდ მიხვდა – რომ ეს იყო დასასრული, რომ ეს იყო დამპალ ფოთლებში სიკვდილი! ქარი კი ისევ უბერავდა და ტრიალებდა ისევ სუნი, დამპალი სუნი. – რად დავენდე, რად დავენდეო! – და ინატრა, უკანასკნელად ინატრა, – ღმერთო, ღმერთო, გევედრები, ვეფხვად მაქციე ერთი წუთით, რომ ერთ ნახტომში მივწვდე, რომ მივახრჩო ჩემი ხელითო, ღმერთო, ღმერთო! – იხვეწებოდა, მაგრამ სად იყო ღმერთი? ვეფხვად ვერ იქცა, ვეფხვად კი არა, მეძებრის მიერ დამფრთხალ კურდღელს დაემსგავსა, კურდღელს კი აბა, რა შეეძლო? და რადგან აღარ იყო გამოსავალი, რადგან ველარაფერი ვერ იხსნიდა, ვერ უშველიდა, დაიჩოქა, მას, ყოფილ მეგობარს დაუჩოქა, თუმც არ აძლევდა ამის უფლებას მას სიამაყე, მაინც, მაინც დაიჩოქა დამპალ ფოთლებში და მუხლმოყრილი მუდარით სავსე თვალებით მიაჩერდა. ო, ტკბილი ყოფილა თურმე სიცოცხლე! ამ დროს კი თითქოს განგებ, იქვე, ბაღის მახლობლად, ფერდობზე მდგომ ხახვისთავიან ეკლესიაში ზარს შემოჰკრეს, – ვის უხმობს ზარი?! მე მიხმობს, ახლა მე მიხმობსო! – და ფორთხვით წავიდა მისკენ. იმ ხელისკენ, რევოლვერი რომ ჩაებღუჯა, ხელი კი ახლა ოდნავ დაბლა დახრილიყო და ისევ თვალებს უსწორებდა პრიალა ლულას და ისევ რეკდა ზარი, ახლა უფრო მძლავრად რეკდა, გუგუნებდა, – შენი ჭირიმე, ბიჭო! რას აკეთებ, არ მომკლა, არ მესროლო, დაგავიწყდა, ყველაფერი დაგავიწყდაო! ღმერთო! ამაოდ დაგენდეო, ამაოდ... – და გამოვარდა ტყვია ლულიდან, პირდაპირ შუბლში, თვალებშუა გაუარა, შემდეგ მეორე, მესამე და, მგონი, მეოთხეც! (ასე ამბობდნენ შემდეგ ისინი, ვინც სროლის ხმა გაიგონა: სამი თუ ოთხი გასროლა იყოო.) და ჩაემხო, ჩაეკონა, დამპალ ფოთლებს ჩაეკონა შუბლგახვრეტილი... მისი ტვინი კი, სისხლში ნარევი მისი ტვინი იქვე ესხა და დამპალ ფოთლებს უხაროდათ, რადგან შიოდათ და დიდი ხანია საკვებს ელოდნენ და აჰა, მიიღეს კიდეც, როგორც იქნა და შეიწოვეს, შეისრუტეს სისხლში ნარევი, გამსკდარი თავიდან გადმონთხეული კაცის ტვინი და მაძღრებმა, ახალი ძალით, უფრო მძლავრად დაატრიალეს დამპალი სუნი, სიკვდილის სუნი. ზარი კი, ზარი უფრო და უფრო მძლავრად რეკდა, გუგუნებდა!

ორი დღე ეგდო ასე, დამპალ ფოთლებში, – ყველამ ნახოსო, სხვებმა რომ არ გაბედონო! – მერე კი სადღაც წაათრიეს და რომელიღაც ორმოში, თავისით გაჩენილ ორმოში ჩაფლეს. ბედად, იქაც ბევრი იყო დამპალი ფოთოლი და მიწასთან ერთად ზედ წააყარეს.

ამ ამბავზე დიდხანს, დიდხანს ლაპარაკობდნენ. ყველა ამტყუნებდა გიგას, – არ უნდა ეკისრა მე მაგისიო!

გიგა კი თავს იმართლებდა, – აბა რატომ ფილოსოფოსობდა, რატომო!



## ლალი გულისაშვილი

### ციკლიდან: „სახელები“

### ქეთო დეიდა

შენ რომ მზითვის საბანი შემიკერე,
ქეთო დეიდა,
ახლაც მახსოვს იმ საბნის სუნი,
ახლაც სოფელში ის საბანი
მახურავს ხოლმე...
ქვრივობაში რომ გამოზარდე
ორი ობოლი, გაგონდება?!...

### ლილი

რა საოცარი სახელია – ლილი!
თითქოს სისხლისგან დაიცალა
ფესვებიანად ამოგლეჯილი ოთახის
ბალბა...

ლილი, დღეს ქარი გადაიჩეხა
უფსკრულში
და დაიტირეს მხოლოდ გვიმრებმა...

ჩემს საფლავზე დარგული კიპარისია
შენი სახელი, ლილი,
რომელიც ბნელში ეკლესია ჰგონია
დედას...

საფეთქელზე მიდებული რევოლვერია,
ლილი, შენი სახელი
და ყველა ტყვია რძეში ჩაყრილი
პურივით თბილია...

აქაურ პეიზაჟს – თეთრი თოვლი და
შავი ყვავები,
არ უხდება შენი სახელი,
ნილოსის პირას უნდა ცხოვრობდე
და ტალღები ქვიშაზე წერდნენ
თეთრი ჩიტივით შემკრთალ შენს
სახელს, ლილი!..

### ქეთევან კოკობაშვილს

კამიუ – რენე შარს...
რა შარს...
რის შარს...
რენე შარს!!!

### ამბობდა გოგი ბაუტაშვილი

ერთი უიმედო ლექსი
საკუთარი თავისადმი
დავწერე და მხიარული
საფლავს ვითხრი ხვალისათვის...

აღარც სიყვარული მინდა,
აღარც სიხარული მინდა,
ნაცრისფერით დაიფარა
ჩემი ოცნებები წმინდა...

თითქოს უცებ დავიკარგე,
მოვწყდი ცას და მოვწყდი მიწას,
ნეტავ სადმე, წყნარ ადგილას,
სამუდამოდ დამაძინა...
გაცვეთილი სიტყვებია,
ბუნდოვანი – ყველა ფერი
და სიკვდილის კარიბჭესთან
ფერმკრთალდება ყველაფერი...

ცოტა მეტად რომ ჩამოთოვს,
მარტოობა მერე ნახე,
მღერის ჩემი მეკუბოვე,
მოკვდა ჩემი მევენახე...

არც განვლილზე მწყდება გული,
არც აწმყოზე მრჩება თვალი,
ორიოდე დღელა ბჟუტავს,
ისიც – ბერწი და ფერმკრთალი...

...მერე გამოგეთხოვებით,
შეწევნით და მადლით უფლის,
ცას გასერავს ცისარტყელა,
ყელზე ჩამოცმული ყულფი...

### მარიამ ალანიას

ამ საყდარს მხოლოდ შენთვის ვაშენებ,
შენ ფეხზე უნდა იდგე, მარიამ,
სიცოცხლე ჩალად რომ აღარ ულირთ,
დღეს კარგად მხოლოდ შენთვის არიან...

შენ სიკეთიდან მოხვედი ქვეყნად,
ხოლო სიკეთე თავად ღმერთია,
ამ საყდარს მხოლოდ შენთვის ვაშენებ,
უბრალო, მაგრამ ერთადერთია...

შენ ფეხზე უნდა იდგე, მარიამ,
და კიპარისი დამირგო ერთი,
სხვა არაფერი მოგეკითხება,
თავს მირჩევნიხარ, გფარავდეს ღმერთი!..

### ნინა მანაგაძეს

დედაჩემი უჯარმელი იყო...
თითქმის სალომე უჯარმელი...

### როსტომ ჩხეიძეს

ჩემო როსტომო,
როგორ დაწერე
ეს ამოდენა საგანძურები!?...

### გიორგი ლობჟანიძეს

რამოტოლა ხარ, ჩემო ბიჭო,
რამოტოლა ხარ!
უფრო დახვეწილად:
თუ შეიძლება,
რა ასაკის ხართ?
ორმოცდაშვიდის გახდი, ძვირფასო,
დაბადების დღეს მოგილოცავ!
ბედნიერება და მწუხარება
არ მოგკლებოდეს...
გახსოვს,
შენ ერთი სტრიქონი მაჩუქე,
გიორგი,
კვიცივით მკვირცხლი:
„პოეტებს ერთი ასაკი აქვთ,
ლექსის ასაკი“... მეტაფორაა!!!

### ბექა ქურხულს

ბექა ქურხულს აქვს „სახელები“...
იქ ჩემი პაკოა!

### ბატონი ვახტანგი და ჩემი ირაკლი

„ლიტერატურული გაზეთი“ – მიყვარს!
ბატონი ვახტანგი – მიყვარს...
ჩემი ირაკლიც – მიყვარს...
მიყვარს „ლიტ. გაზეთი“, მიყვარს...



## რევაზ ჩაფიძე

### შინდისი - ქართლის სინდისი

ათი ათას დღეს მიითვლის
ის დრო, მე რომ ვიხსენებ(!),
სულ ცალ-ცალკე ვარაკუნებთ
ერთად დასარისხებელს!!!
ყველა თავის უელის ყანას(!),
და დავტოვე მე სიმაღლე
ცხინვალს ზემოთ თლიაყანის!!!
ახლა ეკლით გვილობავენ
ვაშლების და ველებს შვინდის!
ბიჭებს, „ქართლის პირმომზანელთ“,
ძველ მხედართა დარს და სინდისს;
იმ ჩვიდმეტი შინდისელის
მე გმირობა მაძლებინებს(!)
და ვიმარჯვებ წუხილს ზედა,
ფერს ვიკირავ, ფერს, გუგებში
მწუხრზე ჩასულ წითელ მზისას,
ქართულ დროშას აწერია
გვარი ანწუხელიძისა!!!

### უნდა გვახსოვდეს

დატატუნობდა – დატატუნობდა,
თან ტიტინებდა და ტიტინებდა
– ტატუნაშვილთა ბიჭი პატარა.
მერე იზარდა, წილკნის შარაზე
– გამოდიოდა მუდამ წინკარით!!!
დედ-მამის ძახილს ყურად ილებდა,
მასზე „უსმინარს“ ვერვინ იტყოდა!
(ეგ იყო მხოლოდ),
მაისის წვიმით სავსე გუბეში
შიშველ ფეხებით დატყაპუნობდა!
ალბათ და მაშინ
თუ შეუშვა მამული გულში,
მშობელი მიწა თუ შეიგრძნო
ფეხისგულებით
(ეს სიყვარულიც სხვა რაღა არის)?!
და როს დასჭირდა სათაყვანებელს,
– თითქმის სრულებით –
მან გაიარა გზა ქეთევანის!!!
დაუნაწევრეს, დაუგლიჯეს
სხეული გმირს და,
გმინვა კი არა,
ვერ ისმინეს იმისგან კვნესაც!..
ტატინაშვილი,
ოთხოზორია,
ანზუწელიძე...
უნდა გახსოვდეს!
მათ მხრებზე დგას ქართული ზეცა!

### ბავშვობის ერთადერთი სურათი

დას-ეკას

შარაზე ჩაუვლია ფოტოგრაფს,
არ მოუყვანიათ იგი „ზაკაზად“,
– ერთი სურათი დარჩესო ქმაინც, –
უთქვამთ ხელმოკლეებს და დედას
ლამაზად
დავუვარცხნივართ „გრებეშოკით“.[1]
ერთ სკამზე შენს გვერდით
ჩამოსკუპულს
წარბები შემიკრავს დიდი კოპით
და შიშით შემიკრავს დიდი კოპით
და შიშით მხრებში ვარ აწურული;
შენ ცერა თიტები მოგიჩანს
„სანდლიდან“,
ტუჩები ისე გაქვს „მოწკუპული“,
მართლაც რო სურათია სამახსოვრო!!!
ცხოვრება წამია, ვიტყვი და
მე დღესაც მხარს მიდგას შენი მხარი,
მამხნევებს, მამაგრებს იმ დღიდან
გავუძლო ცხოვრების სიმძიმილს,
„თქვა, ყველა თქვა იმ წამმა“
დახეულ სანდლების სიცილით!!!

1 მსხვილკბილა, ოდნავ მოხრილი რუსული სავარცხელი.

### მეუღლეს

ძნელად შესამჩნევ ხელის კანკალით
წყლიან ჭიქაში აწყობ ენძელებს
(რაღაცის გამო მე რომ მოგართვი)!
ვხედავ, ნეკნებში გეღვრება სითბო.
ჩვენი ბიჭი კი სწავლობს ლოგარითმს.
ვითომ რა ვქენი ახლა ისეთი,
რამ აგიჩქროლა ეგ გულის ძგიდე?!
ამ ვიწრო ჭერქვეშ ჩემი სიმძიმე
მაგ სუსტი მხრებით, თქვი, როგორ ზიდე?!
ფართო ჰოლების დიდ ლარნაკებში
უგულოდ ჭკნება თაიგულები,
მე იმ დღეებმა მაცოცხლა დღემდე,
შიგნით რომ არის ნაერთგულები!!!

### ყურნუმელას ფოთოლი

ყუმურისპირ ქვებზე ნარბენს
მეძინება ულვთოდ დაღლილს(!),
ფეხისგულში ქვით ნატკენს ხომ
ჩვენში ეძახიან დაგრილს,
არ მესმოდა, „დაგგრილავსო“,
დაქანცული დედის ძახილს
არ ვისმენდი, გავპარულვარ
უთვალავჯერ ჩუმჩუმელა...
წავიდოდა დედა ტყეში,
მოიტანდა „ყურნუმელას“;
ერთ ძარღვიან ეკლის ფოთოლს,
მახსოვს, ამ სახელით ხმობდა.
ძალა ჰქონდა ყურნუმელას,
სანამდი არ ჩამოთოვდა(!).
პურისგულში რევდა საპონს,
ზედ იმ ფოთოლს დამადებდა
და მიხვევდა ცრემლად დაღვრილს.
მომირჩენდა დედა დაგრილს,
იხსნებოდა ჩემთვის ცა რომ...
დედა არ მყავს, ჩემს დახრულ გულს
დღეს სამჩობლოც ველარ წამლობს!

### წარწერა წიგნზე „ნაფეხურები“

*ლერი ალიმონაკს*

პანაშვიდები გაგვიუქმოს ლამის
კოვიდმა(!),
მან დამარიგოს,
ვისაც ნიჭი მოსდგამს დამოძღვრის!!!
„უპანიშადებს“ მივუბრუნდი
– მძიმე დღის შემდეგ.
და ლაბრადორი ლამე ვტეხე
– სიბრძნით ლაო-ძის!!!
და, როცა სარკმლით
ბინდი გაკრთა და ინათელა
(მე ყოველ დილით სასწაულს ველი),
ლეგა ღრუბლები განლაგდნენ ისე,
გამოისახა ცაზე გრანელი!!!
დიდმარხვაში ვარ, ჩემო ლერი, და
„კვირის წირვებით“
ჩემი სულის აღდგომას ველი!!!

### ჩემს აფხაზებს

*დაურ ბარციცს და ალიოშა ლაბახუას*

ძმებო, არ ვიცი, როგორ დავიწყო,
ლექსი გავაწყო ისეთი, ღირდეს(!).
ხომ გაგვიყვია ჩვენ პურის ყუა,
დაურ ბარციცო, შენ, ლაბახუავ,
პირმშვენიერო, შენ, ალიოშავ,
ღმერთმა იცოდეს, არაფერს ვრომავ!!!
ჩვენ ვინც გვიცნობდა, ყველა გაგვიგებს,
დრო იყო სხვა და ვაგებდით „მიგებს“,
რუსული იყო თუმცა საწარმო,
თქვენ ხომ ქართული მაინც
ისწავლეთ!
სადა ხართ ახლა, გულს ენატრებით,
დღენი ულმობლად სწრაფად გადიან,
დავცქერ დღეს ჩვენი გუნდის სურათს და
ცრემლის გოლები გულში გამდიან!!!

## რაულ ჩილაჩავა

ბრეჟნევის დროს ცენზურა ხომ ყველა რესპუბლიკაში მძვინვარებდა, მაგრამ უკრაინის ცენზურასთან შედარებით იგი ბალღის ლუღლუღი იყო. ტყუილად როდი ამბობდნენ, როცა მოსკოვში ფრჩხილს აჭრიან, კიევში მკლავს პკვეთენო. განსაკუთრებით შემოქმედებით წრეებში მეფობდა ერთმანეთისადმი უნდობლობა, ურთიერთდაბეზღების შიში, ჩემთვის უცხო და გაუგებარი ჯაშუშომანია.

ერთხელ იტალიელ პარტიზანთა სიმღერა „ბანდიერა როსა" წავილიღინე და გვერდით მომავალმა პოეტმა პირზე ხელი ამაფარა:

– არიქა, ვინმემ არ გაიგონოს, თორემ, ეგებ, ბანდერა (უკრაინელ ნაციონალისტთა თავკაცი სტეპან ბანდერა) ეგონოთ და ორივეს დაგვიჭერენო!

შიში შიშად, მაგრამ კაცი ყოველთვის ხომ ვერ გაჩუმდება, თანაც არსებობს რაღაცნაირი ნდობა, რომელიც ადამიანებს უნებურად აახლოებს. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინელ მწერალთა უმრავლესობა სწორედ ასეთი ნდობით მეპყრობოდა, რადგან ისინი ქართველებზე მაღალი აზრისა იყვნენ და მათგან გამცემლობა ვერ წარმოედგინათ.

მე ამ ნდობას დიდად ვუფრთხილდებოდი და პასუხად ნაცნობ-მეგობართა წრეს ვიფართოებდი. ეს წრე პირველად საერთო საცხოვრებელში იშვა, სადაც ბინადრობდნენ უკვე იმ დროისთვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოეტები, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს მშობლიურ ლიტერატურას და მისი თვალსაჩინო მოღვაწეები გახდნენ. გალინა პალამარჩუკი, ვიქტორ კორდუნი, ვასილ რუბანი, მიხაილო გრიგორივი, ვასილ მორუგა, მიკოლა სულიმა, ვიტალი კონოპელეცი და სხვები აქტიურად იბეჭდებოდნენ ცენტრალურ პრესაში, ხოლო ზოგიერთ მათგანს, სტუდენტობის მიუხედავად, პოეტური კრებულებიც ჰქონდა გამოცემული. რაც მთავარია, ისინი იცნობდნენ გამოჩენილ სამოციანელებს, რომლებსაც სანიმუშოდ ისახავდნენ და ბევრ რამეში ბაძავდნენ კიდეც. მათი გატაცება თანდათანობით მეც გადმომედო და შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი, რათა რომელიმე მათგანი გამეცნო.

ერთხელ მე და მიშა გრიგორივი პოეზიის საღამოზე წავედით მასწავლებელთა სახლში, რომელიც პირდაპირ ხრეშჩატიკზე, მთავარი ფოსტამტის პირდაპირ მდებარეობდა (იქ ამჟამად პროფკავშირების მონუმენტური შენობაა აღმართული). დარბაზში ხალხის ტევა არ იყო და ფეხზე დასადგომი ადგილი ძლივს ვიშოვნეთ. როცა წამყვანმა გამოაცხადა, სიტყვა მიკოლა ვინგრანოვსკის ეძლევაო, უჩვეულო ტაშმა იქუხა. მაშინ ახალი გამოსული იყო მიკოლა ვინგრანოვსკის კრებული „ასი ლექსი", რომელიც უმალვე იქცა ზოგადეროვნულ მოვლენად, ხოლო მისი ავტორი, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, დიდების შარავანდედით შეიმოსა.

კულისებიდან გამოვიდა და მიკროფონს მიუახლოვდა ტანმაღალი, ოდნავ შემელოტებული, ნებისყოფიანი გამომეტყველების ლამაზი მამაკაცი, რომელსაც რუხი შინნაქსოვი სვიტერი და იმავე ფერის შარვალი ეცვა. დარბაზი კი ძველებურად ტაშისგან ინგრეოდა. როგორც იქნა, მიცხრა ოვაცია და პოეტმაც დაიწყო:

*ჭალარა სერზე ჩანს სოფელი მუქმომფინარე,*
*ქარის წისქვილებს დაქანცვიათ ფრთები ხნიერი.*
*ფლატეებს შორის მენამული ელავს მდინარე,*
*და ჭალისპირი დაღვრემილა, ვით სულიერი...*

მსმენელები, რომლებიც წუთის წინ ბობოქრობდნენ, გასუსულები მისჩერებოდნენ სცენას, გარშემო ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

იმ საღამოს ვინგრანოვსკიმ კიდევ რამდენიმე ლექსი წაიკითხა და იქ შეკრებილი გოგონები ისე ალაგზნო, როგორც ეს ახლა მსოფლიოს პოპ-ვარსკვლავთა კონცერტებზე ხდება ხოლმე. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ მას კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და კინორეჟისორი და მსახიობიც იყო. გამოკვეთილი დიქცია, ზუსტად აქცენტირებული პაუზები, მაჟორული და მინორული ინტონაციები, დახვეწილი მიმიკა და ჟესტები ვინგრანოვსკის უკიდურესად ემოციურ და დაძაბულ ლირიკას ენის გამოუთქმელ მომხიბვლელობას ანიჭებდა. თვითონ პოეტი გარეგნული სილამაზით, ბუნებრივი არტისტიზმითა და ინტელიგენტურობით მსმენელს აჯადოებდა, ეპატიჟებოდა მას თავისი პოეზიის წარმტაც სამყაროში.

საღამოს დამთავრებას ცოტაღა აკლდა, როცა მიშამ მიჩურჩულა, აქ დამიცადე, მალე მოვალო და თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა.

ვინგრანოვსკის მომდევნო გამომსვლელებს არ გაუმართლა. ზოგს უსტვენდნენ, ზოგს ფეხებს უბაკუნებდნენ, ზოგსაც სულაც ტაშით აწყვეტინებდნენ გამოსვლას. ცხადი იყო, რომ ჩვენ მოვხვდით ერთი პოეტის საღამოზე, სადაც ყველა დანარჩენი, თვით არც თუ ურიგონიც, სრულიად ზედმეტნი აღმოჩნდნენ.

დარბაზი თითქმის დაცარიელდა, მიშა კი არ ჩანდა. ვიფიქრე, ეს რა უშნო ხუმრობაა-მეთქი და ის იყო, გაბრაზებული ვაპირებდი იქაურობის დატოვებას, რომ ჩემი მეგობარი ვინგრანოვსკისთან ერთად გამოჩნდა. მას უკვე მოკლედ მოეთხრო ჩემზე და ამიტომ მიკოლა, რომელზეც ასევე ბევრი მსმენოდა, დიდი ხნის ნაცნობივით მომესალმა. ეს იყო 1968 წლის თებერვალში, როცა პოეტს ქრისტეს ასაკი ჯერ კიდევ არ შესრულებოდა. გარეთ ცივი და თოვლიანი ზამთარი იდგა. ჩვენ ფეხით გავუყევით ხრეშჩატიკს და ავუხვიეთ კაფესკენ „ჩაი. ყავა", სადაც, მიუხედავად უწყინარი აზრისა, იაფფასიანი სასმელებიც ჰქონდათ, რის გამოც თავისუფალ ადგილებს ვერასოდეს იშოვიდით. ისევ მიშამ იმარჯვა, საიდანღაც ზედმეტი მაგიდა გააჩინა და ჩვენც რადიატორის ახლოს, მინის გამჭვირვალე კედელთან მყუდროდ მოვკალათდით. კაფე გორაკზე იდგა, საიდანაც გადავყურებდით ცენტრალური უნივერმაღის გაბრდღვიალებულ რეკლამებს და ელექტრობოძებზე დაკიდულ ყინულის ლოლუებს, ლამპიონების შუქზე ათასფრად რომ ბრჭყვიალებდნენ. სიგარეტის კვამლით დანისლულ კაფეში ნელ-ნელა ვწრუპავდით კონიაკს, ვაყოლებდით ყავას

მიკოლა ვინგრანოვსკი



# უკრაინული სიტყვის მარშალი

### მოგონებების წიგნიდან „უვადო მივლინება"

და ვსაუბრობდით თანამედროვე ხელოვნებაზე. მიკოლას, რომლის თანაკურსელები „ვგიკ"-ში თურმე ყოფილან გიორგი შენგელაია, ერლომ ახვლედიანი, ბაადურ წულაძე და სოფიკო ჭიაურელი, საქართველოსა და ქართველებზე საკმაოდ ბევრი რამ სმენოდა. მან თავისი ტელეფონი ჩამაწერინა და მითხრა: როცა დრო გექნება, დამირეკე, სიამოვნებით შეგხვდებიო.

იმ დღიდან მოყოლებული მართლაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მიკოლა კულტურის სასახლე „უკრაინას" პირდაპირ, კრასნოარმეისკაიას ქუჩაზე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა მეუღლესა და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად. პოეზია და კინო მისი ორი განუყრელი მუზა იყო, სხვა რამ საზრუნავი მისთვის არ არსებობდა. ლექსისადმი უკიდურესად მომთხოვნი, შედარებით ცოტას წერდა, იშვიათად იბეჭდებოდა, წიგნის გამოცემას ლამის რელიგიურ რიტუალად თვლიდა. მკითხველი, რომელმაც იცოდა ვინგრანოვსკის სიტყვის ყადრი, სულმოუთქმელად მოელოდა მის ყოველ პუბლიკაციას ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ის კი არ ჩქარობდა, თითქოს დღეები არსად ილტვოდნენ და არც ასაკი იმუქრებოდა გარდუვალი სიბერით.

ოფიციალურად კიევის ალექსანდრე დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში მუშაობდა კინორეჟისორად, სადაც ხელფასს იღებდა.

– კინო შემოქმედებისა და წარმოების სინთეზია, დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროცესებთან და ფინანსურ ბაზასთან, ამიტომ იგი შეიძლება იყოს შემოსავლის წყარო, პოეზია კი სულიდან გამოწურული უწმინდესი კონცენტრატია, რომელსაც ფულადი განზომილება არ გააჩნია, რომლითაც მატერიალურ სიმდიდრეს ვერ მოიხვეჭ. მან შეიძლება მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნება მოგანიჭოს. – ამბობდა იგი და ამ პრინციპის მიხედვით ცხოვრობდა კიდეც.

როცა გავიცანი, უკრაინული მწერლობის კლასიკოსის იური იანოვსკის რომანის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებდა. სცენარი უკვე მზად ჰქონდა და გადასაღებ ადგილებს, როგორც კინემატოგრაფისტები იტყვიან, ნატურას ეძებდა. ერთხელ ამ საძებარზე მეც გამიყოლა და კინოჯგუფთან ერთად კატარღით დნეპრის დინებას დავუყევით. მაშინ პირველად მოვხვდი კანევში, ჩერნეჩის გორაზე, სადაც დიდი ტარას შევჩენკო განისვენებს. როგორც პატარაობისას გეჩვენება ყველაფერი გრანდიოზულად, მეც ასე გრანდიოზულად მომეჩვენა ის მოგზაურობა, თითქოს უკიდეგანო ოკეანე გადავცურე და აღთქმულ კუნძულზე დავადგი ფეხი.

ერთი პირობა მეც შემომთავაზა თავის ფილმში პატარა როლის შესრულება, რომლის დაწერასაც საგანგებოდ აპირებდა, მაგრამ ჩანაფიქრი რატომღაც ჩაიშალა.

„ფიქრები ბრიტანკაზე", ასე ერქვა ფილმს, რომელიც ვინგრანოვსკიმ 1969 წელს გადაიღო და რომელშიც პირველად გაიბრწყინა შემდგომში საბჭოთა კინოს ვარსკვლავმა ნიკოლაი ოლიალინმა. (საკმარისია გავიხსენოთ კინოეპოპეა „განთავისუფლებაში" მის მიერ შესრულებული კაპიტან ცვეტაევის როლი).

მიკოლა თვითონაც თამაშობდა საკუთარ ფილმებში, თუმცა არც სხვა რეჟისორებთან თანამშრომლობაზე ამბობდა უარს. მისი სამსახიობო დებიუტი შედგა ფილმში „გარდასულ დროთა ამბავი", რომელშიც მან ბრწყინვალედ ჩამოქნა ახალგაზრდა საბჭოთა ჯარისკაცის ივან ორლიუკის სახე.

სცენარი ალექსანდრე დოვჟენკოს ეკუთვნოდა, ფილმიც მას უნდა გადაეღო, მაგრამ აღარ დასცალდა, ამიტომ რეჟისორის ჩანაფიქრს მეუღლემ, იულია სოლნცევამ შეასხა ხორცი.

მიკოლა ვინგრანოვსკი დოვჟენკოს უსაყვარლესი მოსწავლე იყო, თუმცა მასთან ურთიერთობა ერთ წელიწადზე მეტ ხანს არ დასცალდა. დოვჟენკო, ეს საქვეყნოდ განთქმული რეჟისორი და მწერალი, 1944 წლიდან არსებითად მოსკოვში იყო გადასახლებული და შინ საცხოვრებლად დაბრუნების ნება არ ჰქონდა. განაჩენი თვით სტალინის მიერ იყო გამოტანილი, რის საბაბადაც იქცა გახმაურებული დოკუმენტური ფილმი „უკრაინა ცეცხლში", რომელშიც დოვჟენკომ დაუფარავად აჩვენა ფაშისტთა მიერ ოკუპირებული უკრაინის ტრაგედია, გადამწვარ-გაპარტახებული ქალაქები და სოფლები, სასოწარკვეთამდე მისული ხალხი. რეალისტურ გზნებას აყოლილმა თვით ბელადიც არ დაინდო და რამდენიმე მწარე სიტყვა აკადრა მასაც.

ფილმი განიხილეს პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელსაც დოვჟენკოსთან ერთად მისი მეგობარი უკრაინელი მწერლებიც ესწრებოდნენ (მათ შორის მიკოლა ბაჟანი, მაქსიმ რილსკი, ალექსანდრე კორნეიჩუკი). სინამდვილეში ეს იყო დოვჟენკოს სასამართლო, რომელზეც მას ბრალად დასდეს მიკერძოებულობა, ცალმხრივობა, ურიდობა. სტალინი განსაკუთრებით გააბრაზა იმან, რომ ფილმის სცენარი წინასწარ ჰქონდა წაკითხული ხრუშჩოვს, რომელსაც ავტორისთვის შენიშვნა არ მიუცია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხრუშჩოვიც ეთანხმებოდა იქ გამოთქმულ კრიტიკას უმაღლესი მხედართმთავრის მიმართ. სტალინმა მას მაშინ დატუქსვა აკმარა, დოვჟენკოს კი, როგორც ნაციონალისტს, უკრაინაში ცხოვრება აუკრძალა და „ვგიკ"-ის პროფესორობა შესთავაზა. იმ დროიდან მოყოლებული დოვჟენკომ წესად გაიხადა ყოველ შემოდგომაზე კიევის თეატრალურ ინსტიტუტში პირველკურსელების შერჩევა საკუთარი ჯგუფისთვის. ამ ტრადიციისთვის მას არც 1956 წლის სექტემბერში უღალატია და სწორედ მაშინ, მშობლიური დედაქალაქის მორიგი მონახულებისას, განსაკუთრებით მოეწონა სამსახიობო კურსის ახალბედა სტუდენტი, რომელიც თანატოლებში გამოირჩეოდა როგორც გარეგნულად, ასევე არტისტული ნიჭითაც.

მიკოლა ვინგრანოვსკი იმ ერთი წლის მანძილზე, დოვჟენკოს რომ დარჩენოდა, მისი ოჯახის წევრი გახდა. სოფლელი ბიჭი, რომელიც მავთულით გაკერილი ტუფლებით ჩამოვიდა კიევში და მსახიობის კარიერაზე ოცნებობდა, გამოჩენილი ოსტატის ჭერქვეშ ეზიარა მსოფლიო კულტურის ანაბანას, გაეცნო ბევრი დიდი მწერლის შემოქმედებას. სწავლობდა სარეჟისოროზე, წერდა ლექსებს და უგზავნიდა მას კიევის რედაქციებს.

1962 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „ატომური პრელუდიები", რომელიც კიევში ჩემი ჩასვლის დროს უკვე რარიტეტული იშვიათობა იყო და ის პროფესორმა ბორის ბურიაკმა მისახსოვრა. ძლესაც ზეპირად მახსოვს იქ დაბეჭდილი მრავალი ლექსი და მიმაჩნია, რომ პირველად სწორედ მათ მაგრძნობინეს უკრაინული სიტყვის მთრთოლარე ლირიზმი, შინაგანი მუსიკა და დაუოკებელი ენერგია.

მიკოლა ვინგრანოვსკი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს ტრადიციული ფორმით წერდა, აზროვნების ორიგინალობითა და მეტაფორული ექსტრავაგანტურობით სინამდვილეში არღვევდა ამ ფორმას, ქმნიდა ახალ პოეტურ რეალობას, სადაც თვითონ იყო სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი.

ჯერ კიდევ ამ წიგნის გამოსვლამდე ვინგრანოვსკიმ მკითხველი მოხიბლა თავისი ვრცელი პუბლიკაციით გაზეთში „ლიტერატურნა უკრაინა", რომელსაც სათაურად ჰქონდა „ჯერ გამოუცემელი პირველი წიგნიდან".

გაზეთის რედაქტორი, მაშინ ახალგაზრდა პროზაიკოსი პავლო ზაგრებელნი განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული ნიჭიერი სამოციანელების მიმართ და მათ მთელ გვერდებს უთმობდა. ასე გამოჩნდნენ პირველად დიდ სამწერლო სარბიელზე ივან დრაჩი, ვიტალი კოროტიჩი, ევგენი გუცალო და ვინგრანოვსკის სხვა სახელოვანი თანამოკალმენი...

რაკი ერთოთახიან ბინაში სტუმრის მიღება ყოველთვის ვერ ხერხდება, ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ეზოში, პატარების სათამაშო მოედანზე, სადაც ზოგჯერ ლუდსაც შევექცეოდით ხოლმე. ერთხელ ასეთი შეხვედრისას მილიციის პატრული წამოგვადგა თავს და განყოფილებაში წასვლა შემოგვთავაზა. გაძალიანებას ვაპირებდი, მაგრამ მიკოლამ ხმა არ ამომაღებინა და ჩვენც გავყევით კანონის მსახურებს. განყოფილება პოეტის ბინის ახლოს, ავტოვაგზალთან, ეგრეთ წოდებულ სტალინკაზე იყო. მე მაშინ პირველად (და, საბედნიეროდ, უკანასკნელად) აღმოვჩნდი მილიციის სპეციფიკურ კლიენტებს შორის, რომლებიც აქ ჩვენამდე მოეყვანათ. რაკი გარეგნობითაც და ჩაცმა-დახურვითაც მათგან მკვეთრად განვსხვავდებოდით, უფროსთან ურიგოდ შეგვიყვანეს.

▶▶ დასასრული იქნება

# ციკლიდან: „საყვარელ წიგნებზე მოყოლილები“

## მიხო მოსულიშვილი

### ცოტა რამ თავად მიხაილ ბულგაკოვზე

მწერალი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორი მიხაილ აფანასიევიჩ ბულგაკოვი დაიბადა 1891 წელს, კიევში. მამამისი კიევის სასულიერო სემინარიის დოცენტი, ხოლო დედა გიმნაზიის მასწავლებელი იყო.

1916 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს იყო სამხედრო ექიმი. 1921 წლიდან დასახლდა მოსკოვში, სადაც დაიწყო აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა.

1926 წელს მხატ-ში, ანუ მოსკოვის სამხატვრო თეატრში დაიდგა ბულგაკოვის პიესა „ტურბინთა დღეები“, რომელიც ისე მოეწონა სტალინს, რომ, როგორც ამბობდნენ, თექვსმეტჯერ ნახა.

1930-იანი წლებიდან მისი ნაწარმოებები აკრძალული იყო. ბულგაკოვი არასოდეს უჭერდა მხარს ბოლშევიკურ რევოლუციას. ბევრ თავის ლიტერატურულ ნაშრომში მძაფრი სატირის გამოყენებით დასცინოდა და აკრიტიკებდა არსებულ საბჭოთა რეჟიმს.

1928 წელს ბულგაკოვი ჩამოსული იყო თბილისში და ბათუმში, ხოლო 1939 წელს დაწერა პიესა „ბათუმი“ (სათაურად მანამდე ერქვა: „მოძღვარი“) ახალგაზრდა რევოლუციონერის, სტალინის შესახებ; ეს პიესა იდგმებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში, მაგრამ მოვიდა სტალინის დეპეშა სპექტაკლის გაუქმებაზე, რადგან ბელადმა უადგილოდ ჩათვალა მასზე პიესის დადგმა.

1940 წელს ბულგაკოვს გაუმძაფრდა მემკვიდრეობითი ავადმყოფობა ნეფრიტული სინდრომი და გარდაიცვალა.

### „ოსტატი და მარგარიტას“ წინარე რომანი

1928 თუ 1929 წელს ბულგაკოვმა დაიწყო შავი მონახაზების წერა მომავალი რომანისთვის, რომელიც შეიცავდა 160 გვერდს და რომელსაც რამდენიმე სათაური ჰქონდა: „ინჟინრის ჩლიქი“, „გასტროლი (ვოლანდის)“, „ჟონგლიორი ჩლიქით“ და სხვა.

1930 წლის გაზაფხულზე ბულგაკოვმა დაწვა თავისი რომანი, რადგან მთავარი სარეპერტუარო კომიტეტიდან მიიღო უარი, რომ მისი ახალი პიესა – „ფარისეველთა კაბალა“ – დასადგმელად არ დაიშვებოდა. რომანის დაწვის ეს ეპიზოდი შევიდა რომანის საბოლოო ვარიანტშიც. 1930 წლის 28 მარტს, თავისი რომანის დაწვიდან ერთი კვირის მერე ბულგაკოვმა წერილი მისწერა საბჭოთა მთავრობას, სადაც ითხოვდა, რომ გადაეწყვიტათ მისი ბედი: ან უცხოეთში გაეშვათ ემიგრანტად, ანდა საშუალება მიეცათ, სამხატვრო თეატრში ემუშავა. იმავე წლის 30 აპრილს სტალინმა დაურეკა ბულგაკოვს და ურჩია, მხატისთვის მიემართა თხოვნით სამუშაოთი დაკმაყოფილების თაობაზე. ბულგაკოვს თხოვნა აღარ დასჭირვებია, მეორე დღესვე იქით დაურეკეს სამხატვრო თეატრიდან და სთხოვეს, სამსახურში გამოცხადებულიყო და ემუშავა რეჟისორის ასისტენტად.

როგორც მაშინ ამბობდნენ, სწორედ ამის მერე იქცა ბულგაკოვი „ბელადის რჩეულად“. თუმცა, იმავდროულად, საბჭოთა პრესაში მიმდინარეობდა ბულგაკოვის შემოქმედების ინტენსიური დევნა და სუსხიანი კრიტიკა: თავად ბულგაკოვის გამოთვლით, ათი წლის განმავლობაში დაიბეჭდა 298 საგინებელი რეცენზია და მხოლოდ სამი მათგანი იყო კარგი. მის კრიტიკოსებში იყვნენ გავლენიანი ფიგურები: მაიაკოვსკი, ავერბახი, შკლოვსკი და სხვები...

1932 წელს მწერალი ხელახლა მიუბრუნდა განუხორციელებელ ჩანაფიქრს და სიცოცხლის ბოლომდე წერდა ამ რომანს, თუმცა მიაჩნიათ, რომ ეს ნაწარმოები მაინც ვერ დაამთავრა და საბოლოო რედაქტირება მოუწია მის ცოლს, ელენა სერგეევნა ბულგაკოვას.

რომანი პირველად დაიბეჭდა დაწერიდან 26 წლის შემდეგ ჟურნალ „მოსკვაში“, 1966-1967 წლებში. საბჭოთა კავშირში წიგნის სრული ვერსია დაიბეჭდა 1973 წელს.

### „ოსტატი და მარგარიტა“ – თავად რომანი

თუკი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამტკიცებდნენ, რომ ბულგაკოვი ყოვლად ანტისაბჭოთა ავტორი იყო, ახლა სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ თავისი „ოსტატი და მარგარიტა“ დაწერა მხოლოდ და მხოლოდ სტალინისათვის და რომანშიც გამოიყვანა იგი ვოლანდის სახით. ეს რუსი კრიტიკოსის, დიმიტრი ბიკოვის აზრია და ესეც, ბულგაკოვს უნდოდა ეთქვა ბელადისთვისო, რომ:

„ეს ხალხი საბინაო საკითხით არის წამხდარი, ისინი მონები არიან. ჩვენ ვაღიარებთ შენს ბოროტებას, მაგრამ შენ სასარგებლო ბოროტება ხარ. მთელი ეს რიმსკები, ადმინისტრატორები, ვარიეტეს დამსწრეები, ვარენუხები, სახლმმართველები, კრიტიკოსი ლატუნსკები სხვას არაფერს იმსახურებენ, მკაცრად მართე ისინი. მაგრამ მხატვარს გაუფრთხილდი (იგივე მწერალს), როცა ის მორალურ სანქციას მოგცემს შენი ბოროტებისათვის“.

# მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“




აქ ნათქვამში „სასარგებლო ბოროტების“ გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ, რომანის მიხედვით, თავად სატანა, იგივე ვოლანდი, თავის ამალასთან ერთად მოსკოვში ჩადის. ის დასჯის ხოლმე მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც რაიმე მანკიერება ახასიათებთ: სიხარბე, ლოთობა, ეგოიზმი, მექრთამეობა, ტყუილი და სხვა. ამასთან, ვოლანდის მსახურები (ფაგოტი-კაროვიევი, აზაზელო, კატა-ბეჰემოთი, გელა), თავის მხრივ, ამასხარავებენ ასეთ ადამიანებს და მათ ახალ-ახალ ფათერაკებს შეამთხვევენ.

თუმცა დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ „ოსტატი და მარგარიტა“, რომელზეც სიცოცხლის ბოლო რვა წელიწადს მუშაობდა ბულგაკოვი, შეუძლებელია, მხოლოდ სტალინისთვის დაეწერა.

### რომანის ჟანრი და სიუჟეტი

ეს რომანი ერთ რომელიმე ჟანრს არ მიეკუთვნება, იგი შეიცავს როგორც სატირას, ფარსს თუ მისტიკას, ასევე ლირიკულ-რომანტიკულ და მელოდრამატულ თუ ტრაგიკომიკურ და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ მონაკვეთებსაც.

### პირველი სიუჟეტური ხაზი – სატირულ-ყოფითი და მისტიკური

რომანის მოქმედება იწყება მაისის ერთ დღეს, როცა ორი ლიტერატორი – მასსოლიტის გამგეობის თავმჯდომარე მიხაილ ბერლიოზი და პოეტი ივან ბეზდომნი პატრიარქის ტბორებთან სეირნობისას გა-



დაეყრებიან უცნობს, რომელიც უცნაურია ძალიან. როცა ლაპარაკი ჩამოვარდება იესო ქრისტეზე, რომ ის არ არსებობდა, მაშინ სტუმარი ჩაერთვება ლიტერატორების საუბარში და ჰყვება, რომ თავადაც იყო იუდეის პროკურატორის პილატე პონტოელის აივანზე, თანაც წინასწარმეტყველებს, რომ ბერლიოზს თავს მოაჭრის რუსი ქალი, კომკავშირელი. ლიტერატორებმა არ იციან, რომ მათ წინაშეა ვოლანდი, იგივე ეშმაკი, რომელიც საბჭოთა დედაქალაქში ჩამოვიდა თავის ამალასთან: ფაგოტ-კაროვიევთან, აზაზელოსთან, კატა-ბეჰემოთთან და მსახურ გელასთან ერთად.

ბერლიოზის ტრამვაის ბორბლებქვეშ სიკვდილის შემდეგ ვოლანდი დასახლდება მისსავე ბინაში, მისამართზე: ბაღშაია სადოვაიას ქუჩა, 302-ბის, რომელსაც შემდეგში „უწმინდურ ბინას“ უწოდებენ.

სატანა და მისი თანაშემწეები მოსკოვში აწყობენ გათამაშებებსა და მისტიფიკაციებს: იალტაში აგზავნიან ვარიეტეს დირექტორს სტეფან ლიხოდეევს, აწარმოებენ „შავი მაგიის“ სეანსს, ორგანიზებას უკეთებენ იძულებით გუნდურ სიმღერას სანახაობითი კომისიის თანამშრომლებისთვის, გამოააშკარავებენ აკუსტიკური კომისიის თავმჯდომარეს, არკადი აპოლონოვიჩ სემპლიაროვს და თეატრის მებუფეტეს ანდრეი ფოკიჩ სოკოვს.

პოეტ ივან ბეზდომნისთვის, ვინც ბერლიოზთან ერთად პირველი გადაეყარა ამ უცნაურ სტუმარს, ვოლანდთან და მის ამალასთან შეხვედრა უმძიმეს სულიერ აშლილობად გადაიქცევა და პოეტი ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი გახდება, სადაც გაიცნობს მეზობელ პალატაში მცხოვრებ ავადმყოფს, სახელად ოსტატს და შეიტყობს, რომ ოსტატმა პილატე პონტოელზე რომანი დაწერა, რის შემდეგაც დაპირისპირება მოუწია დედაქალაქის ლიტერატურულ სამყაროსთან, რომელთაგან რომანის დაბეჭდვის თაობაზე უარებს თან ახლდა დევნა თუ წნეხი პრესიდან და წინადადებები, დაერტყათ „პილატოვშჩინასთვის“. ცენზორებმა და ლიტერატორებმა დაგმეს ეს ნაწარმოები და ჩათვალეს, რომ ავტორი გიჟი იყო. ოსტატმა ველარ გაუძლო ამ საშინელ წნეხს და რომანის ხელნაწერი ბუხარში დაწვა, ხოლო დაპატიმრებისა და წამების შემდეგ საგიჟეთში მოხვდა...

ოცდაათი წლის მარგარიტასთვის, რომელიც არის ვილაც დიდი სპეციალისტის ცოლი და ოსტატის საყვარელი, ოსტატის გაქრობა დრამად გადაიქცევა. ერთხელ ის გამოუტყდება საკუთარ თავს, რომ მზადაა, სული ეშმაკს მიჰყიდოს, ოღონდ კი შეიტყოს, ცოცხალია თუ არა მისი შეყვარებული. ოსტატის ამბის უცოდინარობით განაწყენებული ქალის აზრები მოსმენილი აღმოჩნდება და აზაზელი გადასცემს ქილას სასწაულმოქმედი კრემით, რომლის სხეულზე წასმის შემდეგ მარგარიტა გადაიქცევა ალქაჯად და დედოფლის როლს ასრულებს სატანის დიდ ბალზე. მისი სანუკვარი ოცნება ასრულდება: ვოლანდი აწყობს ოსტატის შეხვედრას შეყვარებულთან და უკან უბრუნებს რომანის დამწვარ ხელნაწერს.

### მეორე სიუჟეტური ხაზი – ისტორიულ-სახარებისეული

ოსტატის დაწერილი რომანი პილატე პონტოელზე არის ამბავი, რომელიც იწყება დიდი იროდის სასახლეში, ქალაქ იერუსალიმში. იუდეის პროკურატორ პილატე პონტოელთან მოჰყავთ ეჭვმიტანილი იეშუა ჰა-ნოცრი (ესაა იესო ქრისტეს ერთ-ერთი სახელი), რომელსაც სინედრიონმა სიკვდილი მიუსაჯა კეისრის ძალაუფლებისადმი აგდებული დამოკიდებულებისათვის. იეშუასთან ლაპარაკისას პროკურატორი ხვდება, რომ მის წინაშეა მაწანწალა ფილოსოფოსი. მისი შეხედულება ჭეშმარიტებაზე და ის აზრი, რომ ყველანაირი ხელისუფლება არის ძალადობა ადამიანებზე, საინტერესოა პილატესთვის, თუმცა მაწანწალას გადარჩენა მას აღარ შეუძლია. რაკი იცოდა, იუდა კარიაფელმა ფული აიღო იმაში, რომ უფლება მისცა, თავის სახლში დაეპატიმრებინათ იეშუა ჰა-ნოცრი, პროკურატორი საიდუმლო სამსახურის უფროსს, აფრანიუსს ავალებს გამცემის მოკვლას, რასაც აფრანიუსი დიდი ოსტატობით ასრულებს.

ამ სიუჟეტური ხაზების შერწყმა ხდება რომანის დამამთავრებელ თავებში. ვოლანდს ეწვევა იეშუას მოწაფე ლევი მათე (იგივე სახარების ერთ-ერთი მთხრობელი მათე), რომელიც გადმოსცემს უფლის დანაბარებს, რომ სიმშვიდით დააჯილდოვონ ოსტატი და მარგარიტა. ეს თხოვნა აღსრულდება. ღამის მოსკოვიდან გადის მფრინავი მხედრების ჯგუფი. მათ შორის მხოლოდ ვოლანდი და მისი ამალა კი არა, პილატე პონტოელზე რომანის ავტორი, იგივე ოსტატი, და მისი შეყვარებული მარგარიტაც არიან.

### რომანის აზრი

*... მაინც ვინა ხარ ბოლოს და ბოლოს?*
*– მე ნაწილი ვარ იმ ძალისა, ვისაც მარად ბოროტება სწადია და სიკეთეს კი იქმს.*

გოეთე. „ფაუსტი“.

თუკი ამ ეპიგრაფს გავიხსენებთ და წიგნს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ ამ რომანის მთავარ მესიჯს:

„ბოროტება სასარგებლოა“ – აი, მთავარი და ძირითადი სათქმელი ამ რომანისა, როგორც ამას დიმიტრი ბიკოვი მიიჩნევს.

ანუ ესაა წიგნი ყველანაირი ადამიანური გაიძვერობის წინააღმდეგ...

თუმცა უნდა დავუკვირდეთ ერთ რამეს: როგორ მოდის საზოგადოებაში დიდი ბოროტება, ანუ სატანა?

თავიდან ის იწყებს პატარ-პატარა ბოროტებების განადგურებას, რითაც მოიგებს პატიოსანი ადამიანების გულს და მათგან მიიღებს მორალურ გამართლებას, რომ აი, თურმე როგორი სასარგებლო ყოფილა დიდი ბოროტება.

ამის მერე კი დიდი ბოროტება გადადის სწორედ იმ პატიოსანი ადამიანების განადგურებაზე, ვინც კომპრომისი დაუშვა მისთვის. ანუ ანადგურებს იმათ, ვისაც შეეშინდა და დათმობაზე წავიდა დიდ ბოროტებასთან.

მიხაილ ბულგაკოვი სწორედ ამის სათქმელად წერდა ამ რომანს და წერდა მთელი კაცობრიობისთვის და არა მხოლოდ სტალინისთვის...

და ბოლოს, მიხაილ ბულგაკოვის რომანი „ოსტატი და მარგარიტა“ უდიდესი საკაცობრიო პრობლემატიკითაა გამორჩეული და უპირისპირდება ადამიანის უმთავრეს ნაკლს და ყველა უბედურების სათავეს: შიშს...

მე სწორედ ეს მგონია ამ რომანის მთავარი სათქმელი თუ ძირითადი მესიჯი თუ შეტყობინება.

# როგორ ვაკეთოთ ლექსები?



## ვლადიმირ მაიაკოვსკი

აუცილებელია შეიცვალოს მანძილი და სიბრტყე, რომელზეც ხდება ესა თუ ის მოქმედება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტი დაჯდეს ზღვის პირას და ელოდოს, როგორ გავა დრო და როდის შეიცვლება ამინდი. მან დრო თვითონ უნდა მოირგოს, მისი სიმძლავრე ადგილის შენაცვლებით უნდა გაააქტიუროს, მიმდინარე დღე საუკუნედ უნდა გადაიაზროს ფანტაზიაში.

ასეთი გადაადგილება წვრილი და მსუბუქი საგნების შემთხვევაში სწორედ რომ უპრიანია.

პირველ მაისზე ლექსების წერა კარგია დაიწყო ნოემბერში ან დეკემბერში, როცა მაისი პირდაპირ გწყურია.

მშვიდ, უშფოთველ სიყვარულზე ლექსის დასაწერად მისწრებაა №7 ავტობუსით მგზავრობა ლუბიანკის მოედნიდან ნოგინის მოედნამდე. გაუთავებელ, საზიზღარ ჯაყჯაყში საერთოდ დაგავიწყდებათ სხვა ცხოვრების ხიბლი. შედარებისთვის ჯაყჯაყი აუცილებელია.

დრო დაწერილი ლექსის ვარგისიანობასაც ამოწმებს.

ყველა ლექსი, რომლებიც დიდი სულიერი ალმაცერობის დროს დამიწერია და შესრულების პროცესში მომწონებია, ერთი დღის შემდეგ წვრილმან, ცალმხრივ, დაუმთავრებელ საგნად მომჩვენებია. ყოველთვის არსებობს განწყობა, რომ ლექსში რაღაც შეცვალო, გადააკეთო.

ამიტომ როცა რაღაცას ვამთავრებ, რამდენიმე დღით უჯრაში ვინახავ, შემდეგ ვიღებ და სრულიად გარკვევით ვხედავ ხარვეზებს, რომლებსაც წერისას ვერ ვამჩნევდი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი არათანადროულად შექმნა. არა, თანადროული უფრო მისალებია. უბრალოდ, მინდა პოეტების ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საგიტაციო ლექსები უფრო დაძაბულ, ხანგრძლივ და დაკვირვებულ შრომას მოითხოვს.

თვით ყველაზე სასწრაფო აგიტტექსტიც კი ვერ დაიწერება უალრესად დიდი ყურადღების გარეშე. ის საღამოს უნდა გადაწერო და არა დილით. რატომ? იმიტომ, რომ დილით შეცდომების გასწორების დრო არ გექნება. პოეტური წარმოების ძირითადი წესია – შექმნა მანძილი და მოაწესრიგო დრო (და არა იამბები და ქორეები).

აი, რატომ იყო, რომ ლექსი ესენინის შესახებ გავიყოლე ლუბიანკის გადასარბენიდან მიასნიცკაიაზე მდებარე ჩაის სამმართველომდე. მიასნიცკაია მკვეთრი და საჭირო კონტრასტი იყო: ნომერში განმარტოების შემდეგ – ხალხმრავლობა; პროვინციული სიჩუმის შემდეგ – ავტობუსების, ტრამვაებისა და ავტოების ხმაური და რია-რია, ხოლო გარშემო, როგორც ძველის ხეების გამოწვევა – ელექტროტექნიკური კანტორები.

დავდივარ, ხელებს ვიქნევ, ვბუბუნებ, ნაბიჯს ვაჩქარებ – ვანელებ, ვჩუმდები, ისევ ვბუბუნებ.

ასე იხვეწება და ყალიბდება რიტმი – საფუძველთა-საფუძველი ყოველგვარი პოეტური საგნისა, რომელიც გუგუნს მოჰყვება. ამ რიტმულ გუგუნში თანდათან სიტყვებსაც არჩევ.

ზოგი სიტყვა უკან გადავარდება და აღარასოდეს განმეორდება, სხვები მეორდებიან, ბრუნდებიან, მიდიან-მოდიან, ასჯერ და ათასჯერ შეგახსენებენ თავს, სანამ არ იგრძნობ, რომ ყველაფერი დალაგდა (ამ გრძნობას, რომელიც გამოცდილების შესაბამისად ვითარდება, ნიჭი ჰქვია). პირველად გამოიკვეთება მთავარი სიტყვა – მეთაური ლექსიკური ერთეული, რომელიც ლექსის დედააზრზე მიგვანიშნებს ან სარითმო ვარიანტს გვთავაზობს. დანარჩენი სიტყვები მოდიან და ისე ნაწილდებიან, როგორც მთავარი სათქმელი მოითხოვს. როცა ძირითადი უკვე მზად არის, ჩნდება ისეთი შეგრძნება, თითქოს რიტმი ირღვევა – სადღაც მარცვალი არ ჰყოფნის, სადღაც – ბგერა. ვიწყებთ სიტყვების ხელახლა გამოჭრას, გამოჩორკნას, გადაწყობას. სამუშაო პირდაპირ გაგიჟებს. თითქოს მეასედ გაზომავენ კბილზე გვირგვინს, გიბურღავენ, გიტრიალებენ, გიჩხიკინებენ და ბოლოს, სასწაულად, ჩაჯდება თავის ალაგას. ეს მსგავსება იმითაც არის ნიშნეული, რომ როდესაც „გვირგვინი" ჯდება, თვალებიდან ცრემლები (პირდაპირი გაგებით) მომდის – როგორც ტკივილისგან, ისე შვებისგან.

საიდან მოდის ეს მთავარი გუგუნ-რიტმი – არავინ იცის. ჩემში ამას წარმოქმნის ნებისმიერი ხმის, ბგერის, ხმაურის, რყევის ან მოვლენის ელემენტარული განმეორება. რიტმი შეიძლება, აგრეთვე, წარმოშვას ზღვის ტალღების შრიალმაც და მოახლემაც, რომელიც ყოველ დილით აჯახუნებს კარს. ეს განმეორებები იწვნება, იკვრება, იქსოვება ჩემს ცნობიერებაში. და თვით დედამიწის ბრუნვაც კი ისე კარიკატურულად ეწყმის ქარის ზუზუნს, გეგონება თვალსაჩინო ხელსაწყოების მაღაზიაში ხარო.

მცდელობა, მოაწესრიგო მოძრაობა, ჩამოაყალიბო ბგერები, აღმოაჩინო მათი ხასიათი, მათი თავისებურებები, წინასწარ დაადგინო რიტმული საშუალებები – აი, ერთ-ერთი უმთავრესი და მუდმივი პოეტური სამუშაო. არ ვიცი, რიტმი ჩემ გარეთაც არსებობს თუ ის მხოლოდ ჩემშია. ალბათ უფრო ჩემშია. მაგრამ მისი გამოცოცხლებისთვის საჭიროა ბიძგი – არავინ იცის, საიდან ჩნდება ის ნკაპუნი, რომელიც გამაყრუებელი გუგუნის შექმნას იწყებს როიალის სტომაქში; ან კიდევ, როგორ იკრებს ჭიანჭველების ერთდროული ნაბიჯი იმდენ ენერგიას, რომ უზარმაზარ ხიდს აზანზარებს და ანგრევს.

რიტმი – ეს არის ლექსის მთავარი ძალა, ძირითადი ენერგია. მისი ახსნა შეუძლებელია, მასზე შეგიძლია ილაპარაკო ისე, როგორც ლაპარაკობენ მაგნეტიზმზე, ელექტრობაზე. ერთი რიტმის გამოყენება ბევრ ლექსში შეიძლება, ის კი არა, პოეტს შეუძლია მთელ შემოქმედებაში ერთი რიტმი ჰქონდეს, მაგრამ მისი ნაწარმოებები ერთფეროვანი არ იყოს, რადგან საზოგადოდ რიტმი რთული მოვლენაა და სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ნიუანსით ხასიათდება.

პოეტმა უნდა განავითაროს რიტმის საკუთარი, ინდივიდუალური შეგრძნება ისე, რომ სხვების მიბაძვა არ დაიწყოს, სხვებზე დამოკიდებული არ გახდეს. იამბი, ქორეი ან თვით კანონიზებული თავისუფალი ლექსი არსებობს და გამოიყენება გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, ავიღოთ მაგნიტი. მისი ენერგია მიიზიდავს მხოლოდ ლითონის ნაწილაკებს და დანარჩენ სხვა საგნებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

საზომებიდან არცერთს არ ვცნობ. უბრალოდ, ჩემთვის ვიცი, რომ პეროიკული ან დიადი საქმეების გადმოსაცემად უნდა გამოვიყენო მრავალმარცვლიანი გრძელი საზომები, ხოლო მხიარული ამბებისთვის – მოკლე საზომები. რატომღაც ბავშვობიდანვე (ცხრა წლიდან) ამეკვიატა და სტერეოტიპი დღემდე მომყვება: ზემოთ აღნიშნული პირველი შემთხვევისათვის ჩემში ასოცირდება ფრაზა:

*მუხთალმა ომმა შეგიწირათ,*
*როგორც ტარიგი...*

ხოლო მეორისთვის:

*თავი ვაწებოთ ძველ სამყაროს...*

კურიოზია, მაგრამ, დამერწმუნეთ, ნამდვილად ასეა.

ჩემი საზომი ასეთია. ვაყურადებ რიტმულ გუგუნს და შემდეგ მასში ვსვამ სიტყვებს, რომლებსაც მოითხოვს მიზანდასახულობა (თან თავს ვეკითხები: არის თუ არა ეს ის სიტყვა? ან როგორ გამიგებენ? და ა. შ.), ტაქტი, ნიჭი, შესაძლებლობები.

ესენინისადმი მიძღვნილი ლექსი თავიდან დაახლოებით ასე გუგუნებდა ჩემში:

ტა-რა-რა' | რა-რა' |რა, რა, რა, რა' | რა-რა' |

რა-რა-რი | რა რა რა | რა რა | რა რა რა რა |

რა-რა-რა | რა-რა რა რა რა რა რი |

რა-რა-რა | რა რა-რა | რა რა | რა | რა რა .

შემდეგ გამოიკვეთა სიტყვები:

თქვენ წახვედით რა რა რა რა რა იმ ქვეყანაში.

გასწით სიერცისკენ რა რა რა რა რა რა რა.

აღარც ავანსი, არც ქალები და არც ლუდხანა.

რა რა რა | რა რა რა რა რა | სიფხიზლე.

მეათედ ვიმეორებ და ვაყურადებ პირველ ტაეპს:

თქვენ წახვედით რა რა რა რა რა იმ ქვეყანაში.

რა არის ეს ოხერი „რა რა რა" და რა უნდა ჩავსვა მის ნაცვლად? იქნებ ასევე დამეტოვებინა – ყოველგვარი „რა რა რა რა რის" გარეშე? ასე:

თქვენ წახვედით იმ ქვეყანაში.

არა! უცებ მახსენდება სადღაც გაგონილი ფრაზა:

ცხენი ველზე დაეცა.

რა შუაშია აქ ცხენი! ლაპარაკია ესენინზე და არა ცხენზე. თუმცა ამ სიტყვების გარეშე რაღაც საოპერო ნავარდი გამოდის. „რა რა რა" გაცილებით ამაღლებულია. „რა რა რას" გამორიცხვა არაფრით არ შეიძლება – რიტმი სწორია. ვიწყებ სიტყვების არჩევას.

თქვენ წახვედით, სერიოჟა, იმ ქვეყანაში...

თქვენ წახვედით სამუდამოდ იმ ქვეყანაში.

თქვენ წახვედით, ო, ესენინ, იმ ქვეყანაში.

რომელია ამ სტრიქონებიდან უკეთესი?

ყველა ერთმანეთზე უარესია! რატომ?

პირველი ტაეპი ყალბია იმიტომ, რომ მასში არის სიტყვა „სერიოჟა". ესენინისთვის ასე ძმაბიჭურად არასოდეს მიმიმართავს. ეს სიტყვა არც ახლა გამოდგება, რადგან თან მოიყოლებს სხვა ყალბი და ჩემთვის არადამახასიათებელი სიტყვების მთელ წყებას: „შენ", „ძვირფასო", „ძმაო"...

მეორე ტაეპი ცუდია იმიტომ, რომ სიტყვა „სამუდამოდ" აუცილებელი არ არის, შემთხვევითია, მხოლოდ იმისთვის ზის, რომ ზომა დაიცვას: თუმცა არც არაფერს შველის და არც არაფერს ეხმარება, უბრალოდ, ზედმეტია; საქმეს აფუჭებს. მართლაც, რა არის ეს „სამუდამოდ"? ვინმე მობრუნდა არასამუდამოდ? ნუთუ არსებობს სიკვდილი სასწრაფოდ გაცოცხლებით?

მესამე ტაეპი არ გამოდგება იმიტომ, რომ მეტისმეტად სერიოზულია (მიზანდასახულობა კი ჯიუტად ჩაგვჩიჩინებს, ეს სამივე სტრიქონის ნაკლია.) დიახ, აქ სერიოზულობა დაუშვებელია, ვინაიდან ეს აჩენს ეჭვს, რომ მე მწამს საიქიო ცხოვრების არსებობა სახარებისეულ ტონებში, რაც ჩემში ნამდვილად არ არის. ეს ერთი; მეორე ის, რომ ასეთი სერიოზულობა ლექსს სამგლოვიაროდ აქცევს და ტენდენციას უბუნდოვანებს – უუქმებს მიზანდასახულობას. ამიტომ შემომაქვს სიტყვა „როგორც იტყვიან".

როგორც იტყვიან, თქვენ წახვედით იმ ქვეყანაში.

სტრიქონი გამართულია – „როგორც იტყვიან" დამცინავი არ არის და თანაც ეფექტურად ანელებს ლექსის პათეტიკას, ამავდროულად, აქარწყლებს ყველანაირ ეჭვს, თითქოს ავტორს სწამდეს საიქიო აბდაუბდისა. სტრიქონი გამართულია და განსაზღვრავს მთელ სტროფსაც: ის უნდა იყოს ორმაგი – ერთი, რომ არ უნდა გაეთამაშოს მწუხარებას და მეორეც, არ უნდა გაუშვას ცრემლმდენი ვაი-ვიში. ოთხსტრიქონედი ორ კონტრასტულ ნაწილად იყოფა: ორი საზეიმო სტრიქონი და ორიც სასაუბრო, ყოფითი. ამიტომ, ჩემი აზრით, სტრიქონის დასაჩქარებლად საჭიროა მარცვალი ამოვაგდოთ.

არც ავანსი, არც ქალები და არც ლუდხანა,

რა რა რა' რა რა რა' რა რა' სიფხიზლე.

რა მოვუხერხოთ ამ სტრიქონებს? როგორ შევკვეცოთ? მოსაკვეცია „არც ქალები". რატომ? იმიტომ, რომ ეს „ქალები" ცოცხლები არიან. უტაქტობაა მათი ამგვარად მოხსენიება მაშინ, როდესაც ისინი ესენინის ნაზი და გრძნობიერი ლირიკის გმირები არიან. ეს ყალბიც იქნებოდა და თან ყურსაც მოგვჭრიდა. რაღა დაგვრჩა? –

აღარც ავანსი, აღარც ლუდხანა –

ვდუღლუნებ ჩემთვის – არ გამოდის. ეს სტრიქონები იმდენად განსხვავდება თავდაპირველი სტრიქონებისგან, რომ რიტმი არათუ იცვლება, არამედ იმტვრევა, იშლება, ირღვევა. სტრიქონი ყალბდება და უაზროვდება. ის არასაკმარისად კონტრასტულია და მთელ ამ „ავანსებსა" და „ლუდხანებს" მხოლოდ ესენინს მიაწერს, მაშინ, როცა ყველას გვეხება.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტრიქონებში შევიდეს რაც შეიძლება მეტი კონტრასტულობა და განზოგადება?

ვიღებ ყველაზე უბრალოს, ხალხში გავრცელებულს:

*აღარ გაქვს ძირი, დასაბურავი,*
*აღარც ლუდხანა, აღარც ავანსი.*

მეტისმეტად საყველპურო, ვულგარული ფორმით ასეა:

*შენ აღარც ძირი გაქვს, არც საბურავი,*
*არა ავანსი, არა ლუდხანა.*

სტრიქონი თავის ადგილზე დადგა ზომითაც და აზრითაც. „აღარ გაქვს" – ამან კიდევ უფრო მეტი კონტრასტი დაიჭირა პირველ სტრიქონთან. პირველში „თქვენ გადახვედით", ხოლო მესამეში „შენ აღარც" დაგვანახვებს, რომ ავანსები და ლუდხანები ნახსენებია როგორც ზოგადი, საერთო საგნები და არა როგორც დეტალები ესენინის დასამცირებლად. ეს სტრიქონი კარგი წინაპირობა აღმოჩნდა იმისათვის, რომ „სიფხიზლის" წინ მარცვლები ამომეყარა და სწორედ „სიფხიზლე" აღმოჩნდა ის, რამაც პრობლემა გადაჭრა. ამიტომ არის, რომ, თითქოსდა დამცინავი კილოს მიუხედავად, სტროფი ესენინის ყველაზე თავგადაკლულ თაყვანისმცემლებსაც კი სიმპათიურად განაწყობს.

ოთხსტრიქონედი ძირითადად დასრულებულია, მხოლოდ ერთი ტაეპი რჩება, რომელსაც რითმა აკლია.

*როგორც იტყვიან, თქვენ წახვედით იმ ქვეყანაში,*
*გასწით სივრცისკენ, რა-რა-რა-რა.*
*აღარც ლუდხანა, აღარც ავანსი –*
*მხოლოდ სიფხიზლე.*

გაურითმავად ხომ არ დაგვეტოვებინა? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ ურითმოდ (რითმის ფართო გაგებით) ლექსი დაიშლება.

რითმა გვაიძულებს, დავუბრუნდეთ წინა სტრიქონს, გვაიძულებს, ვიფიქროთ მასზე, გვაიძულებს, ყველა სტრიქონი, რომლებიც ერთ აზრს აყალიბებენ, თვალწინ გვქონდეს წარმოდგენილი.

ჩვეულებრივ, რითმას უწოდებენ ორი სტრიქონის ბოლოში მოცემულ თანხმიერებას, როდესაც ერთი და იმავე ხმოვნის მახვილი და მისი შემდგომი ბგერები დაახლოებით თანხვდება ერთმანეთს.

ყველა ასე ამბობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ეს სისულელეა.

ბოლოკიდურთა თანხმიერება – ეს გახლავთ სტრიქონების ერთმანეთთან შეკავშირების მრავალთაგან ერთ-ერთი საშუალება, თანაც ყველაზე მარტივი და უხეში საშუალება.

შეიძლება სტრიქონები თავში გაირითმოს:

*ძალლები –*
*მაღლები, დოგები, პატარა დრუნჩებით.*

შეიძლება ერთი სტრიქონის ბოლო მეორე სტრიქონის დასაწყისთან გაირითმოს:

*უკმური წვიმა თვალებს მიელმებს,*
*იელვებს უცებ გისოსებს მიღმა.*

შეიძლება პირველი და მეორე სტრიქონების ბოლოები ერთდროულად მესამე ან მეოთხე სტრიქონის ბოლოსთან გაირითმოს:

*მეცნიერება შენ გელის,*
*მგონი, მენც ელი,*
*მაგრამ ლექსს არჩევს შენგელი.*

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ.

თარგმნა
**მალხაზ ივანიძემ**
ლექსების მთარგმნელები
**ჯემალ ინჯია**
**ვაჟა ბეთანელი**

▸▸ გაგრძელება. დასაწყისი „ლს" № 20.21.22.23

▸▸ გაგრძელება იქნება

ახალი თარგმანები



მარინა ცვეტაევა

# „გადავაბიჯე ზღვარს ნაზი ტერფით"

*ლოცვა*

ო, ქრისტე ღმერთო, როგორ მწყურია
მე სასწაული დღესვე და ახლა!
შენთვის იოლი სამსახურია,
რომ მოვკვდე ახლა, ავიდე მაღლა.

ბრძენი ხარ და შენ არ მეტყვი მკაცრად:
„ჯერ მოითმინე, მაგის დროც მოვა".
თვითონ შემქმენი უბრალო კაცად
და მე გამიჩნდა სურვილთა გროვა.

ძალიან მინდა, რომ ვიყო ბოშა
და უდარდელად მივიმღეროდე.
ორლანის სმენით გავუძლო დრო-ჟამს,
ამორძალივით ბრძოლა მელოდეს.

ვიმარჩიელო ან ვარსკვლავებზე,
ბავშვებს გავუძღვე ჩრდილების გავლით...
ან დღეს გუშინდელს რალას დავეძებ,
იყოს სიგიჟე დღეთა სიმრავლით!

მიყვარს ჯვარი და ატლასი ო, მეც –
ამ სულის კვალი მოგანდე ვისაც,
შენ ზღაპარივით ბავშვობა მომეც,
მე კი სიკვდილს გთხოვ ჩვიდმეტი წლისა.

* * *

მეტრფი სიცრუის ჭეშმარიტებით
და თან სიცრუის სიბრძნით მე მეტრფი.
მეტრფი ისე, რომ არ მწამს სიტყვების,
გადავაბიჯე ზღვარს ნაზი ტერფით!

მეტრფი ისე, რომ დროსაც აჯობე,
ხელჩაქნეული ფანტავ სიტყვებსაც,
თუმც არ გიყვარვარ, ამაზე ბჭობენ,
ამ სიტყვებშია ჭეშმარიტება.

* * *

ერთმანეთისკენ იწევს ორი ხე.
ორი ხე. მათ წინ ჩემი სახლია.
ხეებიცა და სახლიც მოხუცდნენ.
ახალგაზრდა ვარ, თორემ ამ ხეებს,
უცხოებს სულ არ შევიბრალებდი.
უფრო უმცროსი მეორეს უწვდის
ხელებს ქალივით ო, მთელი ძალით
და რა ძნელია საყურებელად,
როგორ მიიწევს მეორე ხისკენ,
უფროსისაკენ – უფრო გამძლე და
უბედურია, ვინ იცის, იგი?
ორი ხე. დგანან დაისის მტვერში,
წვიმაში, თოვლში სულ მუდამ დგანან.

ერთმანეთისკენ იწევენ მუდამ,
ეს კანონია: ერთმანეთისკენ!
ერთი კანონი ერთად ყოფნისა.

*ჯვარი*

ეიფელის კოშკს ხელით მინვდები,
მიდი, მინვდი და აძვერი ზედაც.
ყველა ჩვენგანმა ნახა, ნახულობს
ასეთ რამეებს და კიდევ ხედავს,

რომ ულამაზო და მოსაწყენი
თქვენი პარიზი ჩვენ გვეჩვენება:
„ჩემო რუსეთო, რუსეთო, რატომ
იწვის კამკამით შენი მშვენება?"

* * *

ლექსებს, რომლებიც დავწერე ადრე, –
როს არ ვუწყოდი, რომ ვარ პოეტი,
მე ამოფრქვეულ შადრევანს ვადრი,
ნაპერწკლებს ვადრი ცაზე რაკეტის

და შემოჭრილებს, ვით ეშმაკუნათ
ტაძარში, სადაც აკმევენ გუნდრუკს,
ჩემს ლექსებს, ეს რა ბედი ერგუნა –
არ კითხულობენ, არჩევენ ცუნდრუკს!

გაუყიდავი ყველგან რომ ყრია
(მაღაზიებში და ფარავს მტვერი),
ძვირფას ღვინოებს მსწრაფლ შეადარონ,
დადგება ჩემი ლექსების ჯერიც.

* * *

ო, ამ ახალ წელს შევხვდი ეული,
მუდამ მდიდარი, ახლა – ღარიბი,
მუდამ ფრთიანი, ახლა წყეული.
სადღაც ძველ ღვინოს სვამდნენ ყარიბნი.

ხელი ხელს ჰქონდათ ჩაკიდებული,
მუდამ ფრთიანი უფრთებოდ დავრჩი.
ვიყავ წყეული, ვიყავ ვნებული,
ვით მთვარე – მარტო სარკმელის თვალში.

* * *

მოდიხარ ახლა შენ ჩემი მსგავსი,
გაივლი ალბათ თვალებდახრილი
და მეც დავხარე თვალები თარსი,
შესდექ, გამვლელო, შესდექ, დაღლილი,

და წაიკითხე ქათმის სიბრმავით,
ყაყაჩოებით დაუხვდი ყისმათს,
რომ მე მარინა მქვია იმთავით
და ამდენი და ამდენი წლის ვარ.

და ნუ იფიქრებ, რომ მე ვარ საფლავში
და შემიძლია გამოცხადება...
მე ხომ მიყვარდა სიცილი მაშინ,
როცა სიცილი არ შეიძლება!

და ჩემი სისხლიც ძარღვებში ჩქეფდა
და მერხეოდნენ მეც კულულები...
ერთხელ მეც ვიყავი, გამვლელო, მეფა!
სდექ! სვლა შეწყვიტე დაუსრულები!

და მოიწოდე ღერო ველური
მარწყვის და მარწყვი მოკრიფე ნაზად.
ო, სასაფლაოს მარწყვზე უტკბესი
და უმსხვილესი არ არის არსად.

ოღონდ არ იდგე შენ მოღუშული,
თავჩაქინდრული არ სდევდე ფერებს.
არ დაიმძიმო ფიქრებით გული
და დამივიწყე იოლად მერე.

როგორ განათებს მტვრიანი სხივი,
ხარ ოქროს მტვერში გამოხვეული
და ნუ შეკრთები, ასე რომ ყივის
მიწის ქვემოდან ჩემი სხეული.

რუსულიდან თარგმნა
**დალილა ბედიანიძემ**

# ჩვენი ჩახჩახა დღეების ხიბლი!...

ზინა სოლომნიშვილი... ჩვენი დროის სრულიად გამორჩეული, ელვარე ნიჭის მქონე პოეტი...

ჩემი ზინა, ჩემი სიჭაბუკის სულის სალბუნი, ჩემი უფროსი და, უებრო მეგობარი.

როცა ასეთი ადამიანი მიდის, დიდ ტკივილთან ერთად, სულში ერთგვარი სიამაყეც ისადგურებს, რომ შენი ცხოვრების ყველაზე უფრო ლაღი და ბედნიერი წლები სწორედ ამ ადამიანის სულიერი სინათლით იყო გაჩახჩახებული.

პოდა, ახლა სწორედ ეს ჩახჩახა დღეები უნდა გავიხსენო და ასე დავემშვიდობო მარადიული სოფლის გზაზე დამდგარ ჩემს დაიას.



***

1975 წლის 29 ნოემბერია. მე, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ჩემს მეგობრებთან ერთად თელავში, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ჩავდივართ. ლამაზი და ალერსიანი დღე დგას კახეთში. პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ სტუდენტები სექციების მიხედვით ვნაწილდებით. მე და მედიკო გიორგიშვილი ქართული ლიტერატურის სექციაზე შევდივართ და მოკრძალებულად ვიკავებთ ადგილებს. სექციის ხელმძღვანელი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, არჩილ სპარსიაშვილია, ხოლო სრულიად ახალგაზრდა გოგი ჯავახიშვილი სტუმრებსა და მასპინძლებს ისეთი სითბოთი და სიყვარულით გვესალმება, წამში ქრება დაძაბულობა და ყველა თითქოს ერთმანეთის ახლობლები ვხდებით. და, აი, ამ საუბარში ბატონი გოგი გვიცხადებს, რომ ჩვენს სხდომას ესწრება პოეტესა ზინა სოლომნიშვილი!

– ზინა სოლომნიშვილი! – ეს სახელი მაშინ პოეზიის მოყვარულთათვის და დამწყები მწერლებისათვის რაღაც ზღაპრულ ფანტასმაგორიას უკავშირდებოდა. მისი შემოსვლა ქართულ პოეზიაში ხომ სრულიად მოულოდნელად მოხდა. ვენისციხელი კოლმეურნე ქალის ლექსები საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდისტმა კედლის გაზეთში ნახა და თავისი აღფრთოვანება „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას გაუზიარა, რომელმაც მალევე გააცნო მკითხველ საზოგადოებას ამ ელვარე ნიჭის მქონე პოეტი ქალის შემოქმედება. მერე რედაქციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზინას პოეზიის წარდგენასა და პოპულარიზაციაში. საოცარი დრო იყო, კოლმეურნე ქალის დიდებულ პოეზიას მალევე მოყვა „მწყემსი ბიჭის" ტარიელ ხარხელაურის განსაცვიფრებელი ლირიკა...

ზინა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა და სამსახურიც იქვე მისცეს, ჯერ კათედრის ლაბორანტად, მერე კი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს. იმხანად ზინა ჯერ ისევ ლაბორანტი იყო...

მის პოეზიას არამცთუ კარგად ვიცნობდი, მის სტრიქონებზე უკვე შეყვარებული ვიყავი, მისი მხატვრული აზროვნება გულგრილს ვის დატოვებდა?

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, ის იქცა ჩემს უფრო დად, მე კი მის უმცროს ძმად და სხვაგვარად არც მიგვიმართავს ერთმანეთისათვის. ჩვენი წერილებიც, რომლებსაც ერთმანეთს ვწერდით, სწორედ ამ სიტყვებით იწყებოდა.

მერე ერთმანეთი გავაცანი ჩემს ორ მეგობარს – ზინას და მაშინ მღვდელ მირიან იორამაშვილს – თადეოზს და ასე შეიკრა სამკუთხედი, რომელსაც საფუძვლად პოეზია და მეგობრობა ედო.

1979 წელია... ოსიაურის საშუალო სკოლის მოსწავლეები კახეთში გადაწყვეტენ ექსკურსიის მოწყობას. მივყვებით რამდენიმე მასწავლებელი. ოქტომბერია. ალავერდის ტაძარში წირვა აღევლინება. წელ-წელა მივიკვლევ უამრავ ხალხში გზას ამბიონისაკენ და რას ვხედავ? – წირვას თადეოზი ატარებს!.. ჯერ შეუმჩნევლად ვდგავარ, მერე რატომღაც თვალს ვავლებ ხალხს და იქვე კუთხეში ვხედავ ზინას, რომელიც მორიდებით დგას, ხელში ანთებული სანთელი უჭირავს... მივდივარ... ჯერ გაოგნებული მიყურებს, მერე ორივეს გვაეიწყდება, რომ ტაძარში ვართ, წირვაზე. ხალხის ყურადღებას ვიქცევთ და ვხედავთ, ჩვენი მეგობარი თადეოზი როგორ მოდის ჩვენკენ მუქჩამდგარი თვალებით და მრჩება შთაბეჭდილება, წამით მასაც ავიწყდება, რომ წირვას ატარებს....

და რამდენი ასეთი ბედნიერი წუთის გახსენება მომიწევს, ვიდრე ცოცხალი ვარ...

**მურად მთვარელიძე**

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს" საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: თბილისი,
თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806

გამოდის პარასკეობით